# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 თებერვალი, 2015 წელი.

№35 (7680)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ავარიდოთ ქვეყანას ქაოსი და არეულობა!

**ნაციონალების უტიფრობასა და თავხედობას საზღვარი აღარა აქვს (რასაკვირველია, „რუსთავი-2“-ის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით), პარლამენტი არ იკმარეს და ახლა მთავრობას მიეჭრნენ. აშკარად ანტისახელმწიფოებრივ და ანტისახელისუფლებო მოქმედებაში ნაციონალებს „მხარი დაუმშვენეს“ საეჭვოდ განაწყენებულმა თავისუფალმა დემოკრატებმაც, რომელთაც ბოლომდე ჩამოიხსნეს ნიღაბი და გამოიაშკარავეს თავი როგორც ნაციონალური მედლის მეორე მხარემ.**

**„ოცნებას“ სასწრაფოდ გამოფხიზლება და ხელისუფლებაში არაკანონიერი გზით მოსვლის ჟინით შეპყრობილი მავნე ვაიპოლიტიკური ძალების უკვე ყოველდღიური მეთოდური შემოტევების დროული მოგერიება მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას დამღუპველი ქაოსი და შინაარეულობა ემუქრება.**

## ზვიად ნოდია:

## თუ ლევან ვასაძე ქრისტეს მხედრობას აპირებს, ნახევარი სიმართლით ეს არ გამოვა, საკუთარ თავსაც ავნებს და ქვეყანასაც!



6



4

## მიხეილ სააკაშვილი, ფული და პოლ პოტი

## დავით საგანელიძე:

## თავში კომბლებს რომ მირტყამდნენ, მაშინ თავისუფალი დემოკრატები ხელისუფლებაში იყვნენ

7



# ვინ არის უკრაინის პატრიარქი ფილარეტი?..

**რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა უკრაინაში მებრძოლი ქართველები დააჯილდოვა. ღონისძიებას დასწრებია მ. სააკაშვილი და უკრაინაში გახიზნული ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები. — ბუნებრივია, რელიგიურ საკითხებში გაურკვეველი მკითხველი ასეთ ცნობას უკრიტიკოდ იღებს და ფილარეტს, რამდენადაც მას მედია პატრიარქს უწოდებს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელად მიიჩნევს, რომელიც ქართველ მებრძოლებთან ერთად დამნაშავე ექსპრეზიდენტსა და მის ბანდას პატივს მიაგებს.**



სინამდვილეში, ყოფილი მღვდელთმთავარი **ფილარეტ დენისენკო თვითმარქვია პატრიარქია,** რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოს მიერ ხარისხი აყრილი აქვს და რომელიც ანათემაზე არის გადაცემული. თვითგამოცხადებული *კიევის საპატრიარქო,* რომელსაც ფილარეტი მეთაურობს, კანონიკურად არც არსებობს, ანუ არც ერთი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია მას არ აღიარებს (გარდა ქართული მედიისა, სააკაშვილისა და მისი მიმდევრებისა). აქედან გამომდინარე, ვინც ფილარეტის დაჯგუფების თანამოზიარე გახდა, ის თავისთავად ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხეთქილებაში იმყოფება.

ნაცების სქიზმატიკოსობა რა გასაკვირია, მაგრამ ფილარეტის ჯილდოებით გახარებულმა მოხალისე ქართველებმა თუ იციან, ვისგან იღებენ პატივს? — ჩემთვის, მაგალითად, ამ ფაქტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ მებრძოლებისთვის დამნაშავე სააკაშვილის გვედრით დგომა და ერთმორწმუნე რუსთა სიძულვილი უფრო მეტად განსაზღვრავს მათ მისწრაფებებს, ვიდრე სამშობლოს ინტერესები, რომელსაც, მათი ტრაფარეტული განმარტებით, უკრაინაში ბრძოლით იცავენ. რა უბედური ერი ვართ! ადამიანები აბსურდის თეატრში თავს მართლა სწირავენ! ოდნავ მაინც რომ მჯეროდეს, ამ მოხალისეებს საქმიანი მსჯელობა დაფიქრების სურვილს აღუძრავდა, მწვავე შეფასებებსაც არ მოვერიდებოდით, მაგრამ სჯობს, ჩვენს მთავარ თემას დავუბრუნდეთ და რუსეთ-უკრაინის მღვდელთმთავართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები გადმოვცეთ, რომელთაც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, როგორც წევრი ერთი ეკლესიისა, უნდა ითვალისწინებდეს.

2

## თავისუფალი დემოკრატების დემარშში

## ისე გადადექით, რომ საერთოდ ქუჩაში დარჩეთ!!!



3

## ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.4688 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.1771 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.3464 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.5029 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.7737 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.4632 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.7845 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8872 |

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ალიან-ჩალიანი

## საქართველოს ვერავინ უნდა უკარნახოს, თუ როგორ იცხოვრონ ქართველებმა თავიანთ სამკვიდროში

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში განაცხადა, სადაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან ერთად იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

„დღეს ჩვენ ვზეიმობთ სიძლიერეს ქართული სულისა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში განამტკიცა და შეინარჩუნა ჩვენი ქვეყანა. კაცობრიობის ისტორია იწერება, როგორც ომების ისტორია, სადაც ერთი ძალა მეორეს ჯობნის ან პირიქით, თუმცა, ისტორიაში არის ამ ისტორიის დაწერის სხვა ფორმაც, როგორც ვაჟკაცობის და სამშობლოსთვის თავდადების ზეობის. ამ თვალსაზრისით, შეიძლება წააგო ომი, მაგრამ მაინც გაიმარჯვო და მაინც დათრგუნო მტერი შენი თავდადებით, ვაჟკაცობით და სულიერი ძალით. როდესაც ჩვენ წავაგეთ ის ბრძოლები, რომლებმაც საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო, იუნკერთა გმირობამ ჩააგდო ფესვი, რომელმაც მერე მოუტანა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც არასდროს არ ჩამკვდარა. ფესვი, რომელიც ყოველთვის ღვივის და ფესვი, რომელიც ჩვენ სამშობლოს ყოველთვის დამოუკიდებლობას, სიძლიერეს და მომავლისკენ გახედვის შესძლებლობას აძლევს. დღეს ჩვენ, დღევანდელი სახელმწიფოს წარმომადგენლები ვეუბნებით მათ მადლობას, რადგან მათმა გმირობამ მისცა მერე ეროვნულ მოძრაობასაც გაუტეხელობა სულისა და იმ გამარჯვებისაც, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დღევანდელ დღემდე მიიყვანა. ამ გამარჯვებებს, რა თქმა უნდა, აქვს კიდევ მომა-



ვალი. საქართველო უნდა გამთლიანდეს, საქართველო უნდა იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი და საქართველოს ვერასდროს, ვერავინ ვერ უნდა უკარნახოს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ქართველებმა თავის სამკვიდროში, რომელსაც მრავალი საუკუნეა, იცავენ, ეფერებიან და უვლიან. ამიტომ დღეს ვიხსენებთ წარსულს, მაგრამ დღესვე გვიჩნდება მტკიცე ნება და ხედვა იმისა, რომ საქართველო იქნება მთლიანი ძლიერი და სუვერენული. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი მათი გმირობის წინაშე“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## სწორი პოლიტიკით, თანამიმდევრულობით და მიზანდასახულობით ქვეყანას აუცილებლად გავაერთიანებთ

ჩვენ წინაშე არის სირთულეები, მაგრამ მჯერა, რომ ყველანი ერთად მათ გადავლახავთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში განაცხადა, სადაც, ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად იუნკერების ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

„მე, ისევე როგორც ყველა ქართველი, ქედს ვიხდი იუნკერების ხსოვნის წინაშე, მათ სამაგალითო გმირობა აჩვენეს - თავი შესწირეს საქართველოს თავისუფლებას, ეს არის მართლაც მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ჩვენ. იმაში, რომ საქართველო დღეს არის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, გმირი იუნკერების დამსახურებაცაა, ვინაიდან ისინი გმირულად შეეწინააღმდეგნენ წითელ ოკუპანტებს. დღეს ჩვენი ქვეყანა ასევე დგას გამოწვევების წინაშე - არის სირთულეები, მაგრამ მე მჯერა, რომ ყველანი ერთად ამ სიძნელეებს გადავლახავთ და ჩვენი სწორი პოლიტიკით, თანმიმდევრულობით, პრაგმატული ხედვით და მიზანდასახულობით, ქვეყანას აუცილებლად გავაერთიანებთ“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## მაღალჩინოსნის გათავისუფლება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გიორგი ჯავახიშვილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ„ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდეს გიორგი ჯავახიშვილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან 2015 წლის 6 თებერვლიდან“, — ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში.

გიორგი ჯავახიშვილი პარლამენტმა ცესკოს წევრად დაამტკიცა.

ინტერპრესი

აუცილებელი განმარტება მედიისათვის

## ვინ არის უკრაინის პატრიარქი ფილარეტი, რომელმაც უკრაინაში მებრძოლი ქართველები დააჯილდოვა?

(პირველი გვერდიდან)



უკრაინელებს ახსოვთ, რომ ყოფილი ეგზარქოსი, კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი ადრე ყოველთვის ვრცლად და ლამაზად საუბრობდა იმაზე, რომ არავითარი გაყოფა არ შეიძლება მოხდეს და ავტოკეფალიის მოთხოვნა სქიზმატიკოსების მოგონილია. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის პატრიარქად სხვა აირჩიეს, იგი განაწყენდა; თავისი სამწყსოს სუსტი მხარეები გამოიყენა და ე. წ. კიევის საპატრიარქო შექმნა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ეკლესია რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კანონიკურ ერთობას ინარჩუნებს არა პოლიტიკური მიზნებისა და „მოსკოვის აგენტობის“ გამო, არამედ იმიტომ, რომ ერთიანობით სიძნელეები უფრო ადვილად გადალახონ და ისედაც დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას არ შეუწყონ ხელი.

რუსებსაც და უკრაინელებსაც საერთო ისტორია აქვთ, ისინი ერთ ემბაზში მოინათლნენ, ერთსა და იმავე წმინდანებს ევედრებიან. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ნაწილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, იგი იმდენად ფართო ავტონომიას ფლობს, რომ დამოუკიდებელი მმართველობის სრული უფლება აქვს მინიჭებული. მას ჰყავს თავისი საჭეთმპყრობელი, თავისი სინოდი და აქვს ყველა აუცილებელი პირობა იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელიც არსებული სახელმწიფოს საზღვრებში მას ესაჭიროება. ამიტომ რაღაც უფრო მეტის მიღების პრეტენზია და ცალკე გამოყოფის უსაფუძვლო სურვილი უკრაინის ეკლესიას არასოდეს გასჩენია.

ფილარეტის მიერ გამოწვეული განხეთქილება თავიდანვე პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა და უკრაინელი და რუსი ხალხების გაყოფისკენ იყო მიმართული. ოცი წლის წინათ ამოქმედებული გეგმის მიხედვით, ჯერ ხალხი აღმსარებლობის პრინციპით დაყვეს, შემდეგ შეეცადნენ ენობრივი და პოლიტიკური პრინციპების გამოყენებას, ახლა კი ამ გათიშულობამ უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა, რომელსაც მსხვერპლად მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ამ კონფლიქტში რომელიმე მხარე არ უჭირავს, განსხვავებით ქართველი მებრძოლებისა და კათოლიკე მღვდლებისაგან, რომლებიც ჯვრებით ხელში მაიდანზე შეკრებილ მოქალაქეებს „ბერკუტის“ შტურმისაკენ მოუწოდებდნენ. უკრაინელები მათ საქციელს არც გაუკვირვებია, რადგან წლების განმავლობაში ისინი ხედავდნენ, რომ პარტია „თავისუფლების“ წინამძღვრობით მოსკოვის საპატრიარქოსთვის ჩამორთმეული ტაძრები შემდეგ სქიზმატიკოსებს ან კათოლიკეებს გადაეცემოდა.

მიტროპოლიტ ილარიონის (ალფეევი) სამართლიანი შენიშვნით, პარადოქსია, რომ უკრაინის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომლის მეთაური რომში იმყოფება, უკრაინის ნაციონალურ ეკლესიად წარმოაჩენს, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელ მორწმუნეთა უდიდეს ნაწილს აერთიანებს, მოსკოვის მიერ მართულ ეკლესიას უწოდებს. მაშასადამე, რომიდან შეიძლება ეკლესიის მართვა, ხოლო მოსკოვიდან — არა. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად სრულიად დამოუკიდებელია, როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული თვალსაზრისით. შენარჩუნებულია მხოლოდ ლოცვითი კავშირი. ერთადერთი წესი, რომელიც ადგილობრივი ეკლესიის სულიერ ერთობას ადასტურებს, ისაა, რომ უკრაინის ეპისკოპატის მიერ არჩეულ კიევის უნეტარეს მიტროპოლიტს მოსკოვის პატრიარქი ამტკიცებს.

ეს ერთობა მეტად ძვირფასია ორივე მონათესავე ერისათვის. ათასი წლის წინათ ისინი ერთიანი რუსეთის შვილები იყვნენ და ქრისტეს ნათელსაც მაშინ ეზიარნენ. ამ დროის განმავლობაში პოლიტიკური საზღვრები ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესიაც საზღვრების შესაბამისად უნდა შეიცვალოს. მართლმადიდებელი ეკლესია ამ პრინციპს რომ გამოდევნებოდა, მაშინ, მაგალითად, აფრიკაში ალექსანდრიის საპატრიარქო 54 ჯუჯა ეკლესიად დაიყოფოდა, ხოლო ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც სირიისა და ლიბანის მორწმუნეებს აერთიანებს, ორად იქნებოდა გაყოფილი.

სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური ვითარებით სქიზმატიკოსები ყოველთვის სარგებლობენ. რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი კირილეს განცხადებით, მარტო მიმდინარე წელს ფილარეტის მიმდევრებმა ვინიცის, ტერნოპოლის, ლვოვის და სხვა ოლქებში 18 ტაძარი მიიტაცეს. მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის საპატრიარქო შეიარაღებულ დაპირისპირებულთა რომელიმე მხარის მოქმედებას პოლიტიკურ შეფასებას არ აძლევს და მოწინააღმდეგეებს მშვიდობისკენ მოუწოდებს.

ამრიგად, განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელი ყველა მედიასაშუალება ვალდებულია, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გამო ბოდიში მოიხადოს და, მომავალში დილეტანტიზმისგან თავის დაღწევის მიზნით, ინფორმაცია მექანიკურად აღარ გაავრცელოს.

გრიგოლ რუხაძე

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● **ნათქვამია, ბიძინას რომ აგინებ, ჯერ მისი ნაჩუქარი ჯიპიდან უნდა გადმოხვიდეო!!!**

● **მაია ფანჯიკიძე ზურაბ აბაშიძეს რომ გააკრიტიკებს და ამას მასმედია რომ გააშუქებს, იმ ქვეყანას მომავალი არ უწერია!**

**საგარეო საქმეთა მინისტრი იყავი, ორგვერდიანი (**A4) რაღაც ხომ უნდა გქონდეს დაწერილი, თუნდაც შენი დიპლომატიური გამოცდილების შესახებ, თუნდაც თანამედროვე გამოწვევებზე შენი ხედვების შესახებ, მარა შენ რა შუაში ხარ, ჰაჯი უსუფმა უნდა თქვას თავისი სათქმელი!

● **დავით გურამიშვილს დაუბარებია, უკრაინაში რომ ვარ დასაფლავებული, „მიშისტი“ არ გეგონოთო...**

● **„ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ის ისტორიული არჩევანი, რომელიც მტკიცედ განსაზღვრა და არაერთხელ დაიცვა ქართველმა ხალხმა. ეს არის ის ერთ-ერთი დაპირება, რომლის გამოც ქართველმა ხალხმა პრეზიდენტის მანდატი მომანიჭა“**

გიორგი მარგველაშვილი

ქართველო ხალხო!

ვინც ამის გამო მიანიჭეთ პრეზიდენტის მანდატი, დაიძახეთ — „მე!“ ვინც სხვა რამის გამო (ჩემი არ იყოს), დაიძახეთ სხვა რამე, მაგალითად, — „ბიძინა!“

● **უკრაინაში ჩატარებული „ღირსების მარში“, დაახლოებით, იგივე პონტია, ცოტნე დადიანს რომ მარშირება დაეწყო მონღოლი ნოინის ფანჯრებთან...**

● **ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო.**

თვითკრიტიკული ე. ხერხეულიძე.

● **„რუსთავი-2“-ის რეიტინგებს ვუყურებ ახლა ეკონომიკური გუნდის გადაყენებასთან დაკავშირებით....**

**91% ამბობს, უნდა გადადგესო და ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“ რა ეუიკენდება? იმის ნაცვლად, რომ პარტიული ინტერესის ამბავში, ზარები მაინც გაუშვან, სხედან ახლა შარდენზე, ტაბიძეზე, აგარაკებზე ბუხრებთან**




და მერე ამაში იღებენ პრემიებს და დანამატებს...

● **იმ ხალხი ლინკებს რომ დებენ, დოლარი ყველგან გამყარდა და ამიტომ ნუ გეშინიათ ლარის გაუფასურების და თუ დოლარში გქონდათ სესხი ან ქირა, თავის დროზე რატომ არ იფიქრეთ, რომ ეს დღე დაგადგებოდათო... დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის და ჭკუის სწავლებისთვის...**

**და ჩვენი ჭკუის სწავლების ნაცვლად თქვენ რას აპირებთ, რომ საქმე გამოსწორდეს, იმას ვერ გვეტყვით პატივცემულებო???**

**პატივცემულებო... როცა სხვას კბილი ტკივა, მე ვუთანაგრძნობ ხოლმე და ესაა სულ... ხოლო როცა მე მტკივა, მაშინ კედლებზე გავდივარ... ხედავთ, ახლა სხვაობას თქვენს მიერ მოყვანილ სხვა ქვეყნის ანალოგებთან? მე რომ თვეში 170 ლარი დამემატა ხარჯზე და შემოსავალი იგივე დამრჩა (კლების პერსპექტივით) ეგ თქვენი მოყვანილი ლინკები უშველის ვითომ ჩემს მდგომარეობას???**

**რას აპირებთ, კონკრეტულად ვერ გვეტყვით???**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

**ირაკლი ალასანიას ჰკითხეს, რა არის ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლიო და უპასუხა: უმადურობაო! — ეს ფრაზა ანეკდოტად გავრცელდა სოციალურ ქსელში და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მას ისეთი კომენტარები მოჰყვა, აქედანვე შეიძლება, ითქვას, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მომავალი დასამარდა!!!**

**მოდით, თვალი გადავავლოთ ამ კომენტარებს:**

— საკუთარ ბიოგრაფიას ყვება?

— რაც მეტს ილაპარაკებს ეს კაცი, მით მეტს ავნებს საკუთარ თავს და პოლიტიკურ მომავალს.

— მგონი, უკვე დააგროვა იმდენი გამოცდილება, რომ გვასწავლოს, რა არის უმადურობა.

— მაგას რამსები აერია...

„ქართული ოცნების" — ამ ერთობ ეკლექტური პარტიის დაშლა გარდაუვალია, თუმცა, დაშლის საწყისი ძაფი რომ თავისუფალი დემოკრატები იქნებოდნენ, თითქოს იმთავითვე იგრძნობოდა. „კაბელების საქმე" ამის მაპროვოცირებელი გახდა, მაგრამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის ამ საქმის ობიექტური არსი... ვინ ვის ულალატა, ვინ ვისი საქმე გააკეთა და რატომ? სამაგიეროდ, ამ ორომტრიალში უფრო და უფრო გამოიკვეთა თავისუფალი დემოკრატების სახე, კურსი, ხასიათი და ქმედება, რომელიც არსებითად „ნაციონალურია", რაღაც ახლობელი და მისაღები ყოფილი ხელისუფლების გემოვნებისთვის, სინდისისთვის, თვისებებისთვის....

სამწუხაროა!!!?

ცნობილია, რომ გუშინ საპარლამენტო ფრაქცია თავისუფალი დემოკრატების წევრებმა კომიტეტების თავმჯდომარის პოსტები დატოვეს.

თანამდებობები საკუთარი სურვილით დატოვეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯომარე დავით ონოფრიშვილმა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძემ და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა.

ამასთან, თავისუფალი დემოკრატების კიდევ ერთი წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტიდან გასულ კვირაში გადააყენეს.

სპეციალურ განცხადებაში, რომლეიც თავისუფალმა დემოკრატებმა გაავრცელეს ნათქვამია: **„ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვს მაქსიმალურ კონცენტრირებას ჩვენი მოქალაქეების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებისა და საგარეო პოლიტიკური საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, მიუხედავად თავისუფალი დემოკრატებისა და პერსონალურად პარტიის თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ ოთხი თვის წინათ წამოწყებული პოლიტიკური დაპირისპირებისა, რაც თავდაცვის სამინისტროს უდანაშაულო თანამშრომლების დაკავებასა და პარტიის წევრების წინააღმდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ მიზანმიმართულ პოლიტიკურ დევნაში გამოიხატა, ჩვენ, თავისუფალმა დემოკრატებმა, პარტიული ინტერესები გვერდზე გადავდეთ და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, საკანონმდებლო ორგანოში მაინც გაგვეგრძელებინა სახელმწიფოსა და ჩვენი მოქალაქეების წინაშე ჯერ კიდევ კოალიციურ რეჟიმში ნაკისრი ვალდებულებების რეალიზება".**

თავისუფალი დემოკრატები არ ღალატობენ „ურყევ" ხაზს და ნაციონალების მსგავსად ხელისუფლება კვლავ რუსეთუმეობაში ადანაშაულებენ: **„როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან ბოლო პერიოდში გაკეთებული უაღრესად საგანგაშო განცხადებები გვიქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ხელისუფლება, ამოფარებული ომახიან დეკლარაციებს ხალხის ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის ურყევობის შესახებ, მიზანმიმართულად ახორციელებს რუსეთის მისამართით კაპიტულანტური შინაარსის გზავნილების გაჟღერებას. სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ეს არ არის მხოლოდ განცხადებები და მათ მოკლე დროში ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯების გადადგმა მოყვება".**



# ისე გადადექით, რომ საერთოდ ქუჩაში დარჩეთ!!!

**„ჩვენი გადადგომა პოლიტიკური აქტია,** — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა, — **იქნებ ეს პოლიტიკური აქტი მაინც იყოს ბევრისთვის სწორედ მორალური მაგალითი იმისა, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი პოლიტიკაში. ღმერთმა ქნას, ადამიანები გამოფხიზლდნენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უმრავლესობას ვგულისხმობ... ჩვენ მივიღეთ ამგვარი გადაწყვეტილება, ერთადერთი სწორი გამოსავალი ამ სიტუაციიდან. მივმართავ ჩემს კოლეგებს პარლამენტში, თქვენ შეგიმსუბუქეთ ერთგვარად ეს მორალური ტვირთი და მოგეცით კარგი მაგალითი, როგორ შეიძლება ადამიანმა იმუშაოს, საქმე აკეთოს, იღვაწოს პოლიტიკაში და არ იყოს ჩამოკიდებული პრივილეგიებს, ხელფასებს, კაბინეტებს, ავტომანქანებს და ა.შ. ისეთ ფუფუნებას, რომელიც თქვენ აგრერიგად შეგიყვარდათ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მობრძანდით.**

დავით ონოფრიშვილიც ირწმუნება, რომ ისინი გააქტიურებას გეგმავენ: **„მე და ჩემი კოლეგები გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას ჩვენივე კომიტეტებში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ჩემი ხელმძღვანელობით ამ ორი წლინახევრის მანძილზე, საკმაოდ აქტიური იყო. უამრავი საკანონმდებლო აქტი მივიღეთ. ჩემგან უამრავი ინიციატივა იყო გამოჩენილი. ეს გაგრძელდება".**

ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა ვალდებული ეკონომიკური გუნდი შექმნილ ვითარებაში თანამდებობიდან გადადგეს, ონოფრიშვილმა უპასუხა, რომ მარტო ეკონომიკური გუნდის გადადგომა საქმეს ვერ უშველის. „მთელ რიგ საკითხებზე, რაც ინვესტიციებს, სავიზო რეჟიმს, მიწის კანონმდებლობის შეზღუდვას, მიგრაციას ეხებოდა, მარტო ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობას ვერ დავაყენებ, — აღნიშნა მან. დღეს არის ძალიან სუსტი მთავრობა, რომელიც ამ კრიზისს დროულად ვერ აღუდგა. მთავრობა მოქმედებს მხოლოდ ბოლო მომენტში, დაინახავს პრობლემას და წყვეტს იმ მომენტში. არანაირი ხედვა ბოლო სამი თვის მანძილზე ჩვენ არ დაგვინახავს. გეგმა ვერ დავინახეთ მაგიდაზე დადებული, გნებავთ ანტიკრიზისული დაარქვით, გნებავთ გაჯანსაღების.

საპარლამენტო უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ კოლეგებმა ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღეს. ხმალაძე ამბობს, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა ამ შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, რისი უფლებაც მათ ჰქონდათ. **„რასაკვირველია, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარე არის ოპოზიციის წარმომადგენელი, გარკვეული უხერხულობები შეიძლება წარმოიქმნას, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი კომიტეტის თავმჯდომარეების გადაყენების თაობაზე არ იდგა. ასეთი სურვილი გარკვეულ ჯგუფებში შესაძლოა, იყო, მაგრამ მთლიანობაში უმრავლესობას ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონია",** — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

შემიძლია, გითხრათ, უმრავლესობის მხრიდან თავისუფალ დემოკრატებზე რაიმე მინიშნება ან ზეწოლა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე არ ყოფილა და არც იქნებოდა, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების" თავმჯდომარემ გიგა ბუკიამ განაცხადა. **„ჩემთვის უცნობია, თუ რა მოტივაციით მიიღეს „თავისუფალმა დემოკრატებმა" კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობებიდან გადადგომის გადაწყვეტილება. ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ზურაბ აბაშიძის ვიცე სპიკერობის საკითხი იყო სხვა, რადგან რეგლამენტის თანახმად, მისი თანამდებობა უმრავლესობის კვოტას წარმოადგენდა. რაც შეეხება პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს, აქ საუბარი შეიძლება იყოს იმაზე, თუ რამდენად ჯეროვნად ასრულებს პირი დაკისრებულ უფლებამოსილებას. უმრავლესობას არანაირი გადაწყვეტილება თავისუფალი დემოკრატების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე არ მიუღია. ეს არის მათი პირადი გადაწყვეტილება და, ალბათ, თავად განმარტავენ თუ რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება",** — აღნიშნა მან.

მოკლედ თავისუფალი დემოკრატები საბოლოოდ გაემიჯნენ ხელისუფლებას, ანუ გაექცნენ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ საკუთარი ამომრჩევლის წინაშე აიღეს. და საინტერესოა, ახლა რას ჰპირდებიან ხალხს, როცა ფეხდაფეხ დადიან რეგიონებში და საზოგადოებას ხვდებიან. შეიძლება თუ არა ენდოს ამომრჩეველი პარტიას, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა პლატფორმა და დადგა იქ... სადაც... იმ დროში და გარემოებაში იყო საჭირო... პარლამენტში მოსახვედრად... ხელისუფლებაში მოსასვლელად?!

ამბობენ, რომ არც ერთ თანამდებობას არ გამოკიდებიან და არც ამჯერად აპირებენ სკამებისთვის ბრძოლას, მაგრამ მაშინ რა შეუძლიათ შესთავაზონ ამომრჩეველს, რომელსაც ერთგულებას ეფიცებიან?! ან რას უპასუხებენ მათ ადამიანები, რომელთაც უკვე კარგად იციან, როგორი „ერთგულება" სცოდნიათ ალასანიას და მის გუნდს. ამაზე ფაქტები უკეთ მეტყველებენ.

თავისუფალი დემოკრატების პროტესტი მიუღებელია საზოგადოებისთვის. რეაქცია საკმაოდ მძაფრია: **„ოო, თქვენი აფერისტი.... რა. ვითომ თანამდებობები არაფრად უღირთ. არადა, „კომიტეტის თავმჯდომარე" დიდი არაფერი თანამდებობაა — პარლამენტის დეპუტატებად მაინც რჩებიან. ხელფასებს, პრემიებს, ყველა სიკეთეს მაინც მიიღებენ. აი, მაგრები თუ ხართ, ისე „გადადექით", რომ საერთოდ ქუჩაში დარჩეთ!**

**აი, ასეთ თაღლითებს ყველაფერი გერჩივნოთ ხალხო!",** — დაახლოებით ასეთია ის გზავნილები, რომელსაც თავისუფალი დემოკრატები საზოგადოებისგან იღებენ. ალბათ ... დამსახურებულად, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლი უმადურობაა.

პარტია, რომელიც რეიტინგით არ გამოირჩეოდა, სწორედ „ქართული ოცნების" დამსახურებით ავიდა ზენიტში, ყველა იმ პროცესში, რაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ განხორციელდა, სწორედ რომ თავისუფალი დემოკრატები მონაწილეობდნენ. ახლა კი პილატესავით ხელს იბანენ?!

**გია ცაგარეიშვილის სიტყვების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, იქნებ ეს პოლიტიკური აქტი მაინც იყოს ბევრისთვის მორალური მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა მოიქცნენ პოლიტიკაში. ღმერთმა ქნას, ადამიანები გამოფხიზლდნენ!**

**თეა მოსია**

**◉ ალიან-ჩალიანი**

## დავით კირკიტაძეს პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალი სასაცილოდ მიაჩნია

**საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქვემო ქართლის ყოფილი რწმუნებულ-გუბერნატორი დავით კირკიტაძე.**

**გამოძიების ინფორმაციით, „2011-2012 წლებში დავით კირკიტაძის მითითებით ქვემო ქართლის გუბერნიის კუთვნილმა სპეცტექნიკამ, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, უსასყიდლოდ შეასრულა სამუშაოები დავით კირკიტაძის ძმის ირაკლი კირკიტაძისა და ყოფილი საჯარო მოხელის გიორგი უდესიანის ერთობლივი კომპანიების, შპს „ავტოჰაუს-რუსთავი 2011"-ისა და შპს „ტიტანი 2011"-ის სასარგებლოდ, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე ავტობაზრობის მშენებლობის დროს, რითაც სახელმწიფოს მიადგა 248 400 ლარის მატერიალური ზიანი. ვინაიდან დავით კირკიტაძე თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას დადგენილება ბრალდების შესახებ წარედგინება დაუსწრებლად და საქართველოს მთავარი პროკურატურა აღმკვეთი ღონისძიების სახით მოითხოვს პატიმრობას, რისი შეფარდების შემთხვევაშიც მის მიმართ გამოცხადდება ძებნა.**



**ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი დავით კირკიტაძე ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებას მხოლოდ სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ გეგმავს.**

**„ეს არის პოლიტიკური დევნა იქიდან გამომდინარე, რომ მე 2011 წლიდან 2015 წლის 4 იანვრამდე ვიყავი საქართველოში. თუ რამე კითხვები ჰქონდა გამოძიებას, მზად ვიყავი, მეპასუხა. 4 იანვარს დავტოვე ქვეყანა და წამოვედი სასწავლებლად. ეს მათ კარგად იციან. 6 თვეში მთავრდება კურსი, იქამდე ვერანაირდ ვერ ვახერხებ საქართველოში ჩამოსვლას, ამიტომაც დრო იხელთეს და წამიყენეს ბრალი. 10 ივნისს მიმთავრდება სწავლა და ამის შემდეგ ვაპირებ დაბრუნებას - ყველა შეკითხვას გავცემ პასუხს, თუ რამე აქვს გამოძიებას", — აღნიშნა კირკიტაძემ. რაც შეეხება წარდგენილ ბრალს, ყოფილი გუბერნატორი მას „სასაცილოდ" მიიჩნევს.**

**ინტერპრესი**

# აშკარა განსხვავებები და შეფარული მსგავსებანი





## მიხეილ სააკაშვილი,

**მოვესწარით: ეს სააკაშვილის ნამდვილი ბენეფისი იყო! გადაუჭარბებლად.**

დიახ, როგორც იქნა, ამა წლის 17 თებერვალს, მშვიდობიან საღამო ხანს, სრულიად საქართველომ, რასაკვირველია, „რუსთავი-2“-ის წყალობითა და ძალისხმევით — ფრიად საეჭვო სიამოვნება მიიღო: უცქირა და უსმინა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საპროგრამო ინტერვიუს. მე დავბრუნდებიო... ისეთი გულკეთილი იყო, ისეთი ინტელიგენტური, დაბრძენებული, ისეთი სიტყვაუხვი პატრიოტი, ისე შესტკიოდა გული ქართველ ხალხზე — ცრემლები მოგადგებოდა კაცს. თან ისიც შეგვახსენა — დაუყვედრებლად, რომ მრავალ ცდუნებას გაუძლო და საქართველოს მოქალაქეობა მაინც არ დათმო (განსხვავებით მისი მთავარი ოპონენტისგან, რომელიც, თურმე, ევოლუციურად გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგარა (როგორც გენებოთ, ისე გაიგეთ. ნუ, ამაზე წესით ბიძინა ივანიშვილმა თავად უნდა გასცეს პასუხი). ერთი კი გავიფიქრე: ეჰ, ნეტავი გაეცოცხლებინათ ჰიტლერი ასე 1948-ში და მიეშვათ გერმანელ ამომრჩეველთან, ნახავდა მაშინდელი დემოკრატიული მსოფლიო „დენაციფიკაციის“ ჭეშმარიტ ფასს.

მაგრამ მეხსიერება ოხერია და ჩვენი რეაბილიტირებული და სასწაულმოქმედი გმირის ამ მორიგ ბენეფისთან დაკავშირებით არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთი მარადმწვანე ანალოგია, რომელსაც გაჭირვების ჟამს ადრეც მივმართავდი ხოლმე და რომელიც, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში აქტუალობას არა და არ კარგავს. კერძოდ, ვგულისხმობ ანალოგიას, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილსა და მის იდეურ დასაყრდენსა („თავისუფლების ინსტიტუტს“) და, მეორე მხრივ, პოლ პოტსა და მის დასაყრდენს („წითელქხმერულ კომუნიზმს“) შორის.

აქვე მსურს, აღვნიშნო და დავადასტურო — შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, რომ თვით ტერმინი „დემოკრატიული წითელი ქხმერები“ საქართველოს ნაციონალების მიმართ მართლაც ჩემი შემოღებული გახლავთ და ამის დამტკიცება ძველი პუბლიკაციებით შემიძლია — მერე რომ არ გახდეს საკამათო!

არადა, ერთი შეხედვით, რა უნდა აერთიანებდეთ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსზე განლაგებულ თითქოსდა ანტიპოდებს — სააკაშვილს და პოლ პოტს? სად ლიბერალური დემოკრატია ან მერიტოკრატიული ლიბერტარიანობა და სად მაოისტური ყაიდის კომუნიზმი? სად ერთის ამერიკელი პატრონი და სად მეორის ჩინელი? ბოლოს და ბოლოს, სად საქართველო და სად კამბოჯა?

პირველი და ზერელე შეხედვით მართლაც ასეა, ანუ არაფერი, მაგრამ — მხოლოდ ზერელე და პირველი შეხედვით.

შორიდან მოვყვები.

საზოგადოდ შემჩნეულია და საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ რეალურად მიმდინარე ისტორიულ პროცესში (რომელიც აუცილებლად გულისხმობს გავლენის მოპოვება-განაწილებისთვის ყველა ხერხით ბრძოლას) იდეური სტრატეგიული ფანატიზმი ხშირად უთმობს გზას სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის ტაქტიკურ გარიგებებს. მართალია, თავად გარიგების ფიგურანტები ასეთ კომპრომისებს სტრატეგიის ნაწილად თვლიან ხოლმე, მაგრამ სინამდვილეში მათი ქმედებების საფუძველში სწორედ მომენტალური უპირატესობის მოპოვების ცდუნება ძევს, რაც, როგორც წესი, დროის გამოცდას ვერ უძლებს (უიშვიათესი გამონაკლისებით), მაგრამ რაღაც პერიოდი კი მუშაობს. მაგალითის სახით შემიძლია, მოვიყვანო უცნობილესი ხელშეკრულება სტალინსა და ჰიტლერს (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) შორის 1939-ში, რომლის ძალითაც საბჭოთა „ენკავედე“ და მესამე რაიხის გესტაპო ცოტა ხნის განმავლობაში ლამის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გერმანელი ანტიფაშისტების დევნაში, ერთმანეთს საზღვარზე უცვლიდნენ დაინტერესებულ პირებს (არცთუ ყველაზე ლამაზი ფურცელი საბჭოთა ისტორიისა); გარიგება საბჭოთა ხელმძღვანელობასა და ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერს შორის 50-იანების ბოლოს, რომელმაც ხაზი გადაუსვა არაბი კომუნისტების ამბიციებს (ანალოგიური რამ მოხდება ირანში „ისლამური რევოლუციის“ მერე, 80-იანებში, როდესაც ჰომეინის რეჟიმი ფიზიკურად გაუსწორდება მოსკოვზე ორიენტირებულ პარტია „ტუდეს“, რაც კრემლში დიდ პროტესტებს არ გამოიწვევს); აქტუალური დღევანდელობიდან — ევროპელი ლიბერალდემოკრატების მიერ უკრაინაში ბანდეროველი ნაციონალისტებისა და აშშ-ის მიერ ერთობლივად ინსპირირებული გადატრიალების შედეგად მოსული მთავრობის მხარდაჭერა — ანტირუსულ ნიადაგზე; დაბოლოს — თვით აშშ-ის მიერ კამბოჯიდან განდევნილი პოლპოტის მთავრობის საერთაშორისო მხარდაჭერის გაგრძელება გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა — ამ უკანასკნელის გლობალური პოზიციების შესუსტების მიზნით. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ამის გამო არ დაშლილა, ამერიკელებს კი პოლ პოტის მხარდაჭერა შერჩათ, ტაქტიკური ამოცანა გამოდგა საბოლოო ჯამში...

ქართველ „ნაციონალებსა“ და ისტორიას მიბარებულ „წითელ ქხმერებს“ შორის მსგავსობის წარმოჩენის მცდელობა მეც რომ ზედმეტად ზერელე და ხელოვნური არ გამომივიდეს, ოდნავ სხვა კუთხით ჩავუღრმავდები საკითხს.

ერთ უჭკვიანეს გერმანელს — ჰეგელს — ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ ისტორიას გამეორება უყვარს: ერთხელ ის გვევლინება როგორც ტრაგედია, მეორედ კი როგორც ფარსი. მართალია, ჩემს ახალგაზრდობაში ამ ფრაზას მაშინდელი პოლიტაგიტატორები (რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში მარქსი მხოლოდ სურათზე თუ ენახათ) ხშირად შეცდომით მიაწერდნენ „კომუნისტური მანიფესტის“ წვეროსან ავტორს, მაგრამ მცირეოდენი ძალისხმევის შედეგად ოდნავ კითხვის მოყვარულ საბჭოთა სტუდენტსაც კი შეეძლო მარტივად აღმოეჩინა, რომ ჰეგელის ეს ციტატა თავად მარქსს ჰქონდა მოყვანილი თავის ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებაში „ლუი ბონაპარტეს მე-18 ბრიუმერი“.

მაშ, რამ გამახსენა ჰეგელი და მარქსი? სადაა მათგან მიშასა და პოლ პოტისკენ გარდამავალი ხიდი?

სადაა და ჩვენი უახლოესი წარსულის მოვლენებში. მივყვეთ მათ.

ყველას გვახსოვს, რომ მიშას მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში საქართველო მსხვილი და არცთუ მსხვილი კერძო საკუთრების სერიული დაყადაღებათა და წილების გადაფორმებათა სტადიაში შევიდა და ამას შეუძლებელია არ აღეძრა (ქართველი საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში მაინც) შესაბამისი ასოციაციები საზოგადოებაში ფულისა და კერძო საკუთრების როლის თაობაზე.

ჩავრთოთ ჩვენი წარმოსახვის უნარი და წამით წარმოვიდგინოთ (ამას ფიზიკასა და ფილოსოფიაში „აზროვნებითი ექსპერიმენტი“ ეწოდება), რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ ყველას ყველაფერი დაუყადაღეს — საცხოვრისისა და საკვები პროდუქტების ჩათვლით. რა პოლიტიკურ შედეგს მოუტანდა ამ ქმედების სახელისუფლო ინიციატორებს ესოდენ გამაოგნებელი აქცია? პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: ამგვარი აშკარა და უტიფარი ძალადობით ხელისუფლება გარკვეული ვადით გაიხანგრძლივებდა არსებობას — მაგრამ მხოლოდ გარკვეული ვადით. ასეთ ხელისუფალთ არ ეყოლებოდათ არც ერთი გულწრფელი მომხრე საკუთარი ოჯახის წევრებს გარდა (და ისიც პირობითად).

ეს აზრობრივი ექსპერიმენტი არც ისეთი ფანტასტიკურია, ერთი შეხედვით რომ შეიძლება მოგეჩვენოს კაცს. მსოფლიო ისტორიაში ხელისუფლების შენარჩუნების მსგავსი მცდელობები საბოლოოდ ყოველთვის კრახით სრულდებოდა, თუმცა ამ კრახის მოლოდინში, როგორც წესი, ნაირ-ნაირი პოპულისტური ლოზუნგებით უხვად შეიარაღებული და საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ მომართული მცირერიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფები მილიონობით თანამოქალაქეს გვარიანად უმწარებდნენ ხოლმე სიცოცხლეს.გასული საუკუნის 70-იან წლებში მსგავსმა სახელმწიფომ დედამიწაზე თითქმის ოთხი წელი იარსება და შედეგი სავალალო იყო.

როგორ და რატომ მოხდა ასე?

გადავხედოთ ისტორიას.

**ერთი მხრივ, კერძო საკუთრებისა და პირადი ქონების (ფულადი ნიშნების ჩათვლით) გაფეტიშება, მეორე მხრივ კი, ამ გაფეტიშებაზე ტაბუსა და ყადაღის ახსნა — აი, ეს გახლავთ სწორედ ცნობილი ჰეგელიანური „დაპირისპირებულთა დიალექტიკური ერთიანობის“ ცხოველმყოფელი მაგალითი. საბოლოოდ კი მსოფლიოს ახალ და უახლეს ისტორიაში ამ მუდამჟამ ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებული ვექტორების ჭიდილმა, კაცობრიობა კომუნისტურ ექსპერიმენტებამდე მიიყვანა.** ამ ყაიდის პირველი ევროპული ექსპერიმენტები — საფრანგეთის რევოლუცია (როდესაც ჯერ მემარცხენე ებერტისტ-კომუნისტებს რობესპიერის ჯალათებმა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ბუნტისთავ ბაბუვისტებს უკვე დირექტორიის ჯალათებმა გილიოტინაზე წააგდებინეს თავი), შვიდიოდე ათეული წლის შემდეგ კი პარიზის კომუნა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

ფაქტობრივად, სოციალური ტიპის მდგრადი სახელმწიფო პირველად რუკაზე გაჩნდა XIX საუკუნეში და ისიც ლათინურ ამერიკაში — და ეს აღმოჩნდა პარაგვაი, დიქტატორ ფრანსიას დიქტატურის ხანაში, როდესაც ეს ქვეყანა თავისი შიდა წყობით ლამის სოციალისტური გახდა (მის თეოლოგიურ ვარიანტში), გარე სამყაროს მიმართ კი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თითქმის სრული თვითიზოლაციის პოლიტიკას ატარებდა, ძალიან ცუდად დამთავრდა ფრანსიას პოლიტიკურ-ეკონომიკური მემკვიდრეობა (უკვე მისი სიკვდილის შემდგომ დიდი ხნის მერე), ღრმა კონფლიქტში შევიდა მეზობელ ქვეყნებთან (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი), რომლებიც ტრადიციული ბურჟუაზიული გზით ვითარდებოდნენ. 1865-70 წლებში გაჩაღდა ომი, რომელშიც პარაგვაი მარტო აღმოჩნდა, გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად (ომობდნენ ჯარში გაწვეული ბავშვებიც) სასტიკად დამარცხდა და საბოლოოდ დაკარგა თავისი მოსახლეობის თითქმის ნახევარი და მამაკაცების 90%-ზე მეტი. გასაკვირი არაა , რომ ეს ქვეყანა დღესაც ერთ-ერთი ყველაზე ღარიბად და ჩამორჩენილად რჩება ლათინურ ამერიკაში — და ეს ჩამორჩენა (ისევე, როგორც მისი მომავალი დიქტატურები - სტრესნერი და ა.შ.) სწორედ იმ წაგებულმა ომმა განაპირობა.

XX საუკუნეში კომუნისტურ იდეას ახალი სუნთქვა გაეხსნა. ყველამ ვიცით, რაც მოხდა ევრაზიაში: ოქტომბრის რევოლუციის შედეგად წარმოიქმნა სსრ კავშირი, რომელიც 80-იანი წლების „პერესტროიკამდე“ მსოფლიოს განვითარების კომუნისტური ალტერნატივის უმძლავრესი სიმბოლო იყო. გავიხსენოთ, რომ მეორე მსოფლიო ომში სტალინის გამარჯვებისა და ნაციზმის დამარცხების შემდეგ კომუნისტურ გზას დაადგნენ აღმოსავლეთი ევროპა, ჩინეთი, ჩრდილოეთი კორეა, ჩრდილოეთი ვიეტნამი, მოგვიანებით კი კუბა და ლიბია (ისლამური სოციალიზმი). გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელი გახდა ლაპარაკი „სკანდინავიურ სოციალიზმზე“ (რომელიც, წესით, არსობრივად ყველაზე მარქსისტული იყო, რადგან, მარსის თეზისების თანახმად, ასე თუ ისე, განვითარებულ ევროპაში მკვიდრდებოდა), მაგრამ გავლენის ამ ზრდის პარალელურად — და ეს გარკვეულწილად პარადოქსი აღმოჩნდა — კომუნიზმის იდეა თანდათან ბერდებოდა და ამ დაბერების კვალობაზე დემენციური ტიპის დეგრადაციას განიცდიდა (რაც დაკვირვებულმა და სულით ხორცამდე გულწრფელმა რევოლუციონერმა ჩე გევარამ — ბუნებით უდიდესმა ანტიკონფორმისტმა — შენიშნა ჯერ კიდევ 1960 წელს მოსკოვში ვიზიტისას საბჭოთა ნომენკლატურულ ფუნქციონერებთან ურთიერთობისას). სულაც არაა გასაკვირი (პირიქით, მოსალოდნელიც იყო), რომ ესოდენ დიადი იდეის ესოდენ ულიმღამო დეგრადაციას გამოუჩნდებოდნენ გულანთებული და თავზეხელაღებული მოწინააღმდეგენი. შედარებით მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი კი აღმოჩნდა კანტისეული ისტორიული გონის ფრიად უცნაური სურვილი, რაც გამოიხატა მის მიერ ერთი უბრალო კამბოჯელი სტუდენტისთვის — ვინმე სალოთ სარისთვის (პოლ პოტისთვის) — მსოფლიოში „სუფთა კომუნიზმის“ მრისხანე და ლამის ყოვლისშემძლე ადეპტის როლის მინიჭებაში. პოლ პოტის ქხმერი ხალხის ყასბად შემდგომი ჩამოყალიბება მისი რევოლუციონერობის ფონზე მეორადია.

პოლ პოტი — ფსევდონიმია (Politique potentielle — მძლავრი პოლიტიკოსი, პარტიული მეტსახელები — „ძმა №1“, „ამხანაგი 87“ და სხვ.) მოყვანილი სიტყვების საწყისი მარცვლებიდან შემდგარი. სალოთ სარი - ასე ერქვა ამ ახალგაზრდას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კოლონიური კვოტის ფარგლებში (მის მოპოვებაში დაეხმარა, მაშინდელ სამეფო კარზე მოცეკვავედ გამწესებული დეიდა) მან შორეულ მეტროპოლიაში პარიზის ერთ-ერთ სასწავლებელს მიაშურა (არა სორბონას, სადაც პარალელურად რამდენიმე მისი მომავალი თანამებრძოლი ღებულობდა განათლებას, არამედ რადიოელექტრონიკის სკოლას, ანუ წესით, მისი სახით კამბოჯას არა სისხლიანი დიქტატორი, არამედ ერთი კვალიფიცირებული ინჟინერი უნდა მიეღო, მაგრამ, ხომ იცით, კაცი ბჭობდაო...). სასწავლო კურსი ჭაბუკ სალოთს ბოლომდე არ დაუსრულებია — სკოლა პოლიტიკის გამო მიატოვა და საფრანგეთის კომპარტიის ინდოჩინეთის სექციაში (იყო მაშინ ასეთიც) გაწევრდა. ალბათ, იმხანად ის თვითონაც ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ სწორედ მას ერგო წილად, ფასდაუდებელი და დამაგვირგვინებელი წვლილი შეეტანა კომუნიზმის საბოლოო დისკრედიტაციაში. სხვათა შორის, პოლ პოტის

№35. სამშაბათი, 24 თებერვალი, 2015 წელი.

# ფული და პოლ პოტი

„პარიზული დაჯგუფება“ („ანგკა ლიეუ“) რაღაც პარამეტრებით წააგავს ჩვენს „თავისუფლების ინსტიტუტს“ — იდეოლოგიურად შეკრული ფანატების გუნდს, რომლის ფესვები უცხოეთშია გადგმული, მაგრამ - ადგილობრივ ექსტრემისტთა და მიამიტთა გულის გასახარად, ადგილობრივი ნაციონალიზმით იკვებება, თანაც, პოლიტიკა ასეთი გუნდისთვის პირველ ადგილზეა, სხვა ყველაფერი დანარჩენი კი — მეათეზე. ზუსტად ისევე, როგორც „თავისუფლების ინსტიტუტმა“ 2004-ში ხელისუფლებაში მოსვლით იდეოლოგიურ მარწუხებში მოაქცია საქართველო და ზურგში ჩასცა ლახვარი ქართულ ლიბერალიზმსა და დემოკრატიას, აი, ასევე პოლ პოტის პარტიზანულ-კომუნისტურმა დაჯგუფებამ პნომპენის აღების და ამერიკელების გაქცევის შემდეგ ყელი გამოღადრა როგორც საკუთარ ხალხს (ბუკვალურად და კონკრეტულად), ისე კომუნისტურ იდეასაც (ირიბად და ზოგადად). ასე რომ, ამგვარი ანალოგიის მოყვანითა და პარალელების გავლებით ჩვენ სულაც არ ვარღვევთ პოლიტიკური ლოგიკის საზღვრებსა და მის მართებულობას.

შეიძლება, შემედავონ, რომ კომუნიზმმა პოლ პოტის „დივერსიას“ გაუძლო და დღესაც აგრძელებს არსებობას ჩრდილოეთ კორეაში, კუბაში, ვიეტნამსა და ჩინეთში. ასეთი ტიპის შენიშვნებთან დაკავშირებით შემიძლია, მხოლოდ ის აღვნიშნო, რომ ჩრდილოეთმა კორეამ და კუბამ, როგორც სახელმწიფო სისტემებმა, სასტიკი მარგინალიზაცია განიცადეს (სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ შედეგი მაინც ერთია) და კომუნიზმის მსოფლიო შუქურების როლზე ველარ გამოდგებიან, ხოლო, რაც შეეხება ჩინეთს (ვიეტნამშიც დაახლოებით იგივე სურათია), ამჟამად იქ არსებული ერთპარტიული წყობა სახელწოდებით კი დარჩა სოციალისტური, ხოლო მმართველი პარტია — კომუნისტური, მაგრამ ჩინეთი სინამდვილეში ვითარდება საბაზრო, კაპიტალისტური გზით (ოღონდ მკაცრი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ), ანუ საქმე გვაქვს სახელმწიფო კაპიტალიზმის ნაირსახეობასთან და არა კომუნიზმთან ან, თუნდაც, სოციალ-დემოკრატიზმთან („სოციალისტური“ სახალხო ჩინეთის მოსახლეობის უმრავლესობას, მაგალითად, არაფერი გაუგონია პენსიების შესახებ). სამაგიეროდ, კაცობრიობის „ისტორიის საგანძურში“ პირველყოფილი, „წმინდა“ და ამიტომ განსაკუთრებით ნეგატიურ დისკურსში გამომცხვარი კომუნიზმის შეყვანა — პოლ პოტის პირადი დამსახურება გახლავთ. სწორედ ამხანაგი პოლ პოტი - დემოკრატიული კამპუჩიის პრემიერ-მინისტრი 1975 და კომპარტიის გენმდივანი 1977 წლიდან (მანამდე ითვლებოდა, რომ ომგადახდილ ქვეყანაში არც ერთ პარტიას, მმართველსაც კი, გაფორმებისა და ლეგალურად მოქმედების უფლება არ ჰქონდა), გახდა ისეთი ადრე გაუგონარი სახელმწიფოს დამაარსებელი, სადაც ყველაფერი — თვით პირადი ნივთებისა და ადამიანების ჩათვლით — აბსოლუტურად დაყადაღებული იყო. ტოტალიტარიზმი კამბოჯაში გრძელდებოდა არასრული ოთხი წლის განმავლობაში (1975-1978). როდესაც რეჟიმი დაეცა (ამაში გადამწყვეტი როლი გარე ძალამ — ვიეტნამის არმიამ შეასრულა), პოლ პოტმა დედაქალაქიდან გაქცევა მოასწრო და თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად ისევ ჯუნგლებში გადაიხვეწა. ის კიდევ დიდხანს უწევდა ახალ ხელისუფლებას (რომელიც ძირითადად ვიეტნამის მხარეს გადასული მისივე არმიის ყოფილი ოფიცრებიდან შედგებოდა) შეიარაღებულ წინააღმდეგობას, სარგებლობდა გარკვეული საგარეოპოლიტიკური მხარდაჭერით (ცივი ომის პირობებში, ჩინეთისა და, რაც გასაოცარია, ამერიკული დიპლომატიის მხრიდან) და ახერხებდა კიდეც გავლენის შენარჩუნებასა და გარკვეული ტერიტორიების კონტროლს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

სანამ დღევანდელ ღრმად „ლიბერტარიანულ“ საქართველოსა და ისტორიას ჩაბარებულ „დემოკრატიულ“ კამპუჩიას შორის მსუბუქ მსგავსებაზე მივანიშნებდე (ნაწილობრივ ეს უკვე გავაკეთე), ორიოდე სიტყვას მათ შორის არსებულ აშკარა სხვაობისთვისაც გავიმეტებ, — თუნდაც იმისთვის, რომ ფაქტების განზრახ დამახინჯებაში არავინ დამდოს ბრალი... საქართველო და კამბოჯა იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციალური, ისტორიული, რელიგიური და გეოგრაფიული თვალსაზრისით, იმდენად განსხვავებულ ცივილიზაციურ ტრენდებს წარმოადგენენ, რომ პირდაპირი პარალელების გავლება მართლაც გამიჭირდება. ბოლოს და ბოლოს, აქ ვანდალურად არ ამოუხოციათ პრიმიტიული იარაღების (თოხების, ბარების და ა.შ) გამოყენებით საკუთარი მოსახლეობის მეოთხედი — თუმცა, მილიონზე მეტი ლტოლვილი და ემიგრანტი გვყავს; ოფიციალურად არ დაუყვიათ ხალხი კატეგორიებად — თუმცა, „ჩარეცხილებად“ და „ჩაურეცხავებად“, ანგლოფილებად და რუსეთუმეებად, არაოფიციალურად აქაც დაყვეს; არ გაუყრიათ ქვეყნიდან საელჩოები — პირიქით, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ, ადგილზე, აშშ-ის ელჩის სანქციის გარეშე, არც ერთი სერიოზული საკითხი არ წყდება; არ აუკრძალავთ მედიასაშუალებები და არ გაუქმებულა ფოსტა; არ დაუცლიათ მოსახლეობისგან ქალაქები — პირიქით, ჩვენში უფრო სოფლის დაცლაზე იქნებოდა მართებული ყურადღების გამახვილება; არ გაუჩაღებიათ წიგნის კოცონები და არ გაკიცხულა (პირიქით!) უცხო ენების ცოდნა (არადა, წამოცდენილი ფრანგული სიტყვისთვის „წითელმა ქხმერებმა“ არაერთი უბედური გამოასალმეს სიცოცხლეს), და ასე, და ასე შემდეგ. მაშ, რა გვინდა, სადაა დაპირებული მსგავსება? რა კავშირია პოლპოტისეულ პირველყოფილ კომუნიზმსა და, თუნდაც, ქონებისა და საბანკო ანგარიშების დაყადაღებათა იმ ტალღებს შორის, რომლებმაც საქართველოს სულ რამდენიმე წლის წინათ გადაუარეს და არაა გამორიცხული, როგორც „რუსთავი-2“ გვიმტკიცებს, არცთუ შორეულ მომავალში კიდევ ერთხელ გადაუარონ?



რაც შეეხება მსოფლიოს „მემარცხენე“ ინტელექტუალებს, სააკაშვილის გლიუქსმანებისა და ბერნარ ანრი-ლევიების არ იყოს, მხარდამჭერები არც პოლ პოტს აკლდა (მაგალითად, ჟან პოლ სარტრი, იან მიურდალი, პნომპენის სასტუმროში 1978 წელს პოლ პოტთან აუდიენციის შემდეგ გაუგებარია ვისი ხელით მოკლული პროფესორ მალკოლმ კოლდუელი და ა.შ.). ისინი, ისევე, როგორც თავის დროზე ლენინს, ტროცკისა და სტალინს ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ შოუ, ბარბიუსი, უელსი და მავანი სხვა — თავიდან საკმაო თანაგრძნობით ეკიდებოდნენ „წითელი ქხმერების“ ზღვარგადასულ ანტიკაპიტალისტურ რიტორიკას. გაზრდილი ინტერესი მათი მხრიდან პოლ პოტისა და მისი ამფსონების საქმიანობის მიმართ (მიუხედავად რეჟიმის მზარდი და სწრაფი თვითიზოლაციისა) იმითაც იყო გაპირობებული, რომ კამპუჩიაში დადგმული ექსპერიმენტის სახით კაცობრიობა წააწყდა არა მხოლოდ კუთხეში მიმწყვდეული კომუნიზმის გააფთრებულ ბოლო გაბრძოლებას, არა კონკრეტულად მაოს უკანასკნელ ამოკვნესას, არამედ რაღაც შეკრულ და მწყობრ კონცეფციას. მაგრამ რა გამოვიდა? ამ კონცეფციის გადამკიდე, ისტორიის ულმობელ სვლასთან შეჭიდებულმა „წითელმა ქხმერებმა“ მათ ხელში ხანმოკლე ისტორიული ვადით ჩავარდნილი მშობლიური ქვეყნიდან ოსვენციმის მსგავსი საკონცენტრაციო ბანაკის აზიური ვარიანტი შექმნეს, მთელ მსოფლიოს ორუელის ცნობილი ანტიუტოპიის იმანენტური რეალისტურობა შეახსენეს და დააჩქარეს კიდეც პირვანდელი ჩანაფიქრის მარცხი მისი ონტოლოგიური სისუსტეების გამო.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, კამპუჩიის გამოცდილებას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ორი მიზეზით. ერთის შესახებ ზემოთ უკვე გაკვრით დავწერე კიდეც: საქართველოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გამუდმებული, ფაქტობრივად, ყოველდღიური და ცრუკანონიერებით (სინამდვილეში კი იურიდიული „ბესპრედელით“) გამყარებული დაყადაღებების, დაჯარიმებებისა და კონფისკაციების გამო შეიბღალა 90-იანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი — კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის თვით ცნებები. მათ პატივს აღარ სცემდნენ (აღვნიშნავ — არც დღეს, გაქანებული „ბიძინობისას“, სცემენ მაინცდამაინც პატივს, მით უმეტეს ცრუ-ლეგიტიმური პოსტსაბჭოთა პრივატიზაციის ფონზე), რამეთუ ისინი ყოველწამს ითრგუნებოდნენ (გონივრულ ჩარჩოებში კი არ რეგულირდებოდა, არამედ სწორედ რომ ითრგუნებოდა და ეს დათრგუნვები დღესაც ქმედითია და ხვალაც ქმედითი იქნება) სახელმწიფოს როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან. ეს კი უფრო კომუნისტური ენაა, ვიდრე ლიბერალური თუ კაპიტალისტური.

მეორე მიზეზი, მეორე ანალოგია, არანაკლებ მნიშვნელოვანია: ესაა სამწუხარო პარალელის გავლების შესაძლებლობა ორი სრულიად განსხვავებული ქვეყნის პოლიტიკური მართვის სისტემებს შორის. თუ ჩვენი ქვეყნის მართვის სტილი და პოლიტიკური სისტემა არ შეიცვალა და მომავალ საქართველოში ხელისუფლებაში ისევ მიშისტი-ნაციონალები აღმოჩნდებიან, ქვეყნის ბედის (და, რა თქმა უნდა, ომისა და მშვიდობის საკითხის) განსაზღვრა არა რაიმე ფუნდამენტური ინსტიტუტის (მაგალითად, პატიოსნად არჩეული პარლამენტის), არამედ ისევ ოთხი-ხუთი ფანატიკოსისგან შემდგარი არაფორმალური ჯგუფის გამგებლობაში დარჩება და ქვეყანას ხელში შერჩება დაახლოებით ისეთი სისტემა, რომელიც მოქმედებდა კამპუჩიაში „წითელი ქხმერების“ ბატონობის ხანაში. უბრალოდ აქაური „თავისუფლების ინსტიტუტი“ (ან მისი რაღაც ახალი ნაირსახეობა) კვლავაც (ისევე როგორც აწ უკვე განვლილი და ყბადაღებული ცხრა წლის განმავლობაში) იქაური პირსისხლიანი „ანგკას“ (ანუ პოლ პოტის უახლოესი პარტიული წრის) მაგივრობას შეასრულებს და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება მხოლოდ ამ ფანატიკოსების არარსებული ჰუმანიზმის იმედის ამარა თუ დარჩება. მართალია, „თავისუფლების ინსტიტუტს“ სისხლი საქართველოში უშუალოდ არ დაუღვრია, მაგრამ მმართველი „ელიტის“ იდეოლოგია მთლიანად მის ხელში იყო, დღესაც მის ხელში რჩება, და მერე რა? „კოჰაბიტაციის“ პოლიტიკამ ეს დაჯგუფება პოლიტიკურ სარბიელს ვერ ჩამოაშორა, და მეორეც: მე ხომ აქ მმართველობის სტილზე ვსაუბრობ და არა ოდესღაც ვიღაცის მიერ სადმე დაღვრილი სისხლის ოდენობაზე თუ ჩადენილ უკანონობებზე. თანაც, ამ ტიპის უზურპაციული და „ფარდის მიღმა“ მოქმედი პოლიტიკური სისტემების ნაკლოვანება — ყველაფერ სხვასთან ერთად — ისიცაა, რომ მათი მოქმედების პროგნოზირება ქვეყნისთვის კრიტიკულ სიტუაციებში სრულიად შეუძლებელი ხდება.

მკითხველს შეიძლება დაებადოს კანონიერი კითხვა: რისთვის დაუთმო ავტორმა ამდენი დრო ისტორიულ სანაგვეზე სამი ათეული წლის წინათ მოსროლილ „დემოკრატიულ კამპუჩიას“? ბოლოს და ბოლოს, და ეს ავტორმაც აღნიშნა, ჩვენთან გენოციდის პოლიტიკას საკუთარი ხალხის მიმართ ჯერ არავინ აწარმოებს, ბანკები, ასეა თუ ისე, მუშაობენ, ფული მიმოქცევაშია, ქვეყანა არ არის იზოლირებული გარე სამყაროსგან და ა.შ.

დიახ, განსხვავება „ლიბერტარიანული ფაშიზმით“ გაჟღენთილ დღევანდელ საქართველოსა და დედამიწის ზედაპირიდან თითქმის უკვალოდ გამქრალ (პნომპენში ამჟამადაც მიმდინარე ტრიბუნალს თუ არ ჩავთვლით — dccam.org) „დემოკრატიულ კამპუჩიას“ შორის, ღვთის შეწევნით, უთუოდ არსებობს. მაგრამ, განსაკუთრებით კი სააკაშვილის გუშინწინდელი ბენეფისის შემდგომ, წარმოვიდგინოთ წამით მისი რეჟიმის რესტავრაცია. ეს არ გახლავთ ანტიმეცნიერული ფანტასტიკა - ხომ ცნობილია, რომ არა მხოლოდ მიშას გაგრძელებული ევროამერიკული ბენეფისების გადამკიდე, არამედ „ოცნების“ უნიათობის გამოც, აქ ბევრს ავიწყდება, თუ რისგან შედგებოდა ჩვენი რეალური ცხოვრება სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ. ადამიანის მეხსიერება ამორჩევითი და ლაბილურია, იოლად ივიწყებს დარბევებს და სატელეფონო მოსმენებს...

„ოცნებაზე“ განაწყენებულმა და შეპირებული სამართლიანობის აღდგენაზე ხელჩაქნეულმა კაცმა ხვალ რომ იფიქროს: კაი, „მიშა-1“-მა არ ივარგა, მაგრამ „მიშა-2“ ამ უმაქნისებს უთუოდ აჯობებსო და იქნებ მეც რამეს გამოვრჩებიო — განა ეს გასაკვირი იქნება? „შუაშისტიც“ ბლომად გამოჩნდება — დაახლოებით ასეთი სქემის ფარგლებში: მართლაც, ჩვენ მასობრივად, ალბათ, არავინ დაგვხოცავს (ნუ დავწვრილმანდებით შურისძიების ცალკეული შემთხვევების განხილვამდე), ჰა-ჰა შეიძლება ისევ რაღაც საბანკო ანგარიში თუ დაგვიყადაღონ, სიმწრით ნაშოვნი (იქნებ, უსამართლოდაც — რას გაიგებ?) სამსახური დაგვატოვებინონ, ან რაღაც ნაცადი პროვოკაცია მოგვიწყონ, მაგრამ სიცოცხლის მასობრივად ხელყოფა — ეგ თითქოს არ გახდება აუცილებელი, ამიტომ შევირგოთ, რაც დაგვრჩება ახალი უკეთესობის მოლოდინში... მაგრამ პრობლემა არა მხოლოდ შესაძლო რეპრესიებში, არამედ ფარულ და ლატენტურ ტენდენციებშიცაა და, ჩათვალეთ, რომ ეს სტატია, პირველ რიგში, პრევენციული ხასიათის გახლავთ. სწორედ ამიტომ მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოსა (არა დღევანდელს, არამედ გუშინდელ „მიშასეულს“ და ხვალინდელ „მიშასეულს“) და იმ კამპუჩიას შორის არსებულ არა თვალშისაცემ და აშკარა განსხვავებებზე, არამედ შეფარულ მსგავსებაზეც, რომელმაც ერთ არცთუ მშვენიერ დღეს შეიძლება, ქვეყანა უფსკრულის პირამდე ისე მყისიერად მიიყვანოს, რომ ვერც კი შევამჩნიოთ როგორ შევდივართ ძალადობის შეუქცევად სპირალში. ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანის ყველაზე აღვირახსნილი ფანტაზიაც კი ზოგჯერ განხორციელებადია რეალურ ცხოვრებაში.



**გოგი ლორთქიფანიძე**



## ზვიად ნოდია:

# თუ ლევან ვასაძე ქრისტეს მხედრობას აპირებს, ნახევარი სიმართლით ეს არ გამოვა, საკუთარ თავსაც ავნებს და ქვეყანასაც!



**სახარებიდან ვიცით — მდიდარი ძნელად შევა სასუფეველში და ესენი (მილიარდელები) სიცოცხლეს შეელევიან სამშობლოსთვის? ლევან ვასაძე ასეთი კაცი რომ ყოფილიყო — ხელს არ დააფარებდა არც ივანიშვილს, არც მასონობას, რომლებიც სამაგიეროდ ანგარიშებს გაუყინავდნენ და ნოლზე დასვამდნენ, ანუ, ამათ თან სახელიც უნდათ და თან სახრავიც, თან წუთისოფლისეული „სამოთხე“ და თან ზეციური სამოთხეც!**

**რამდენადაც ლევან ვასაძის გამოჩენამ პერმანენტული და თანმიმდევრული ხასიათი მიიღო, თავს ვალდებულად ვთვლი, გამოვთქვა საკუთარი მოსაზრება. მინდა, ყურადღებით მომისმინოს ნეიტრალურებმაც და მოწინააღმდეგეებმაც და განთავისუფლდნენ ემოციების, სიმპატია-ანტიპატიებისგან და აკვიატებული აზრების ტყვეობისაგან.**

შეგახსენებთ, რომ მასონები მოქმედებენ თანმიმდევრულად, დიდ მანძილზე გათვლებით, სიტუაციების მონაცვლეობით, მაგრამ განუხრელი მავნებლური მიზანდასახულობით, რის გამოც ხალხს კეთილგონიერების და მოთმინების ფიალა ევსება და ინსტიქტურად ერთვება იმ პროგრამაში, რაც განსაზღვრული აქვთ სამოქმედო ოქმებში: „... და ამგვარი რეფორმაციებით — ერთი გაწბილებიდან მეორე გაწბილებამდე ქანცს გავაცლით მათ და რასაც შევთავაზებთ, იმას დასჯერდებიან“...

ასე რომ, ჩვენ (მე, პირადად) არა გვსურს კიდევ ერთხელ მოტყუვდეს ერი. არ უნდა მოტყუვდეს ლევან ვასაძეც, რომელმაც ასეთი საჯარო განხილვების შედეგად უკეთ უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები!

უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ თითოეული ჩვენგანი სულმოუთქმელად ელოდება ქარიზმატული ლიდერის გამოჩენას — არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება იგი, მთავარია, რას გააკეთებს, რამდენად იქნება თანმიმდევრული და არის თუ არა მზად ბოლომდე დაიხარჯოს ერის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად!..

ამ შემთხვევაში, ის კი არაა მთავარი, რომ იგი „ბალანსის დაცვით“ ამხელს დასავლეთისა და ჩრდილოეთის, (ისევე როგორც ადგილობრივი პარლამენტის და ზოგადად ხელისუფლების), ზოგიერთ ნაკლოვანებებს, რაც უშედეგო ნახევარსიმართლეა, არამედ, მთავარია, მართლქრისტიანულად ესმის თუ არა ეკლესიურობა (ძალუძს თუ არა წინასწარმეტყველთა და წმინდანთა, მაგალითად, მაქსიმე აღმსარებლისეული მართლმკვეთელური სულიერების მიხედვით მიუკერძოებლობა პატრიარქის „უცდომელობისადმი“ და წუთისოფლის მთავრობებთან ეკლესიის მესვეურთა თანამშრომლობის მხილება) და ეკლესიის როლი ერის ყოფნა-არყოფნის წინაშე (რომ აუცილებელია ეკუმენური ევქარისტიის განწყვეტა ერეტიკოსებთან, თორემ, ღმერთი თავად განწყვეტს კავშირს ჩვენთან), ეს ერთი მხრივ და მეორე მხრივ, იცის თუ არა ქრისტიანობის მტრის ენა, რაც ნიშნავს იმას, რომ — რა პოლიტიკური და დუხჭირი პროცესებიც მიმდინარეობს, სინამდვილეში ეს განპირობებულია სამოთხეში მიმავალი გზის არსებობის გამო და მის გასაუქმებლად გვებრძვის ეშმაკი და მისი რაზმი... და რომ, მსოფლიო ჟანდარმი — მასონობა ასრულებს ქრისტეს მაგივრად ანტიქრისტეს გამეფების, ზეციური სამოთხის ნაცვლად ამქვეყნიური „სამოთხის“ მშენებელი ნეომონათმფლობელების ნებას და შენ (ვინც არ უნდა იყო ) არ გაგაკარებენ ხელისუფლებას (არც ფულს შეგარჩენენ) თუკი ამხელ მათ და წინ გადაუდგები იმათ მზაკვრულ გეგმებს, ხოლო, თუკი როგორღაც მოხვდი სათავეში და „მდინარის აღმა ივლი“, ზვიად გამსახურდიასავით გაგაქრობენ!..

ასე რომ, ლევან ვასაძის ნახევარსიმართლით (რაც, ისედაც დაშვებულია „დემოკრატიით“, რომლის უკანაც ჩამალულების სკამზე ხელის ხლებაა აკრძალული) არც საქვეყნო სიტუაცია შეიცვლება და არც მის ბიზნეს-კეთილდღეობას ელოდება საფრთხე, პირიქით, ასეთი პიარკამპანიებით მოდიან დღეს ხელისუფლებაში, როცა ამას დაუშვებენ ისინი, ვინც კანიდან გენამდე იცის, ვინ მოყავს ხელისუფლებაში... თუ ეს ასეა, მაშინ არც ბიძინას დააფარებს იგი ხელს და არც მასონებს, რადგან „პიარი“ მოითხოვს ამას. მაგრამ, თუკი ყველაფრის აზრზეა და უშიშარი თავგანწირულობით მოდის, მაშინ ერთად შევამოწმოთ — აქვს კი ისეთი „ბერკეტი, რომლითაც ნიუტონი დედამიწის გადატრიალებას აპირებდა“?!...

როგორ არ უნდა მახარებდეს და მეიმედებოდეს ეკლესიის წარმომადგენლების — ლევან ვასაძისა და თუნდაც ლევან ჩაჩუას ( „ქართული იდეა“) მოსვლა ხელისუფლებაში, მაგრამ რა ბერკეტიც გააჩნიათ ერთსაც და მეორესაც ( არ გეგონოთ, რომ ერთ ჯგუფში არიან და აქ ლევან ჩაჩუაზე არ მექნება საუბარი), ეგ ვერ უშველის საქმეს, რამეთუ იმაზე დიდი რეცეპტი და ბერკეტი არ არსებობს, რაც ღმერთმა მოგვცა და რასაც არც ერთი ლევანი ბერკეტად არ იყენებს: — „თუ ჩემი კანონის მიხედვით იცხოვრებ, დაგიცავ მტრისგან!“

**— „რჩეული (ანუ მართლქრისტიანი) ერის თავი ეკლესიაა, ანუ ქრისტე და თუკი ეკლესიის თავს ცვლიან პაპით, თუ პატრიარქით, იქ თევზი თავიდან ლპება, ანუ იერარქიის ცოდვების ბრალია ერის დაქცევა“ (წმიდა მამათა მოკლე პერიფრაზი)... პატრიარქმადიდებლობაც კერპთაყვანმცემლობაა, რადგან კერპზე მინდობილი ადამიანი, მის იქით ვერ ხედავს საშველს. გაიხსენეთ და შეადარეთ თანამედროვეობას: რიგით პირველი წინასწარმეტყველი ესაია გახლდათ თავისი ერისთვის თავდაუზოგავი ის მოღვაწე, ვინც ამას იქმდა ერის მხილებით, მთელი 60 წლის მანძილზე, რისთვისაც თვისტომებმა გადახერხვით მოკლეს!**

იგი ერთი მხრივ, მათ ცოდვებს ამხელდა, მეორე მხრივ — უხსნიდა მიზეზს და გამოსავალს მიუთითებდა — არა ამა სოფლის ძლიერებისა და დამხმარე სახელმწიფოებისკენ, არამედ — ღმერთისკენ, რითაც შესაძლებელია ნებისმიერი განსაცდელის გადალახვა.

აქედან გამომდინარე, ღმერთს ძალუძს ამ ყოვლისმომცველი მასონური იმპერიალიზმისგანაც გვიხსნას, თუკი მის ეკლესიას, მის საკურთხეველს ისე გავუსწორებთ მას, როგორც ეგების... ეს რომ სასწრაფოა, ამას ერის პრობლემები ღაღადებს — ჩვენი განსაცდელები სხვა არაფერია, თუ არა მაღალი ტემპერატურა ავადმყოფობის ნიადაგზე, რომელსაც თუ არ ვუმკურნალეთ, ვერც აქ მოვმჯობინდებით და ვერც სამოთხეში წავალთ — სნეულებისგან მკვდარი.

რა არის ეს სნეულება? — უწინარესად, ესაა ეკუმენიზმი, სეკულარიზაცია, ცრუმორწმუნეობა და ასევე იერარქიის თანამშრომლობა მთავრობებთან, რაც განაპირობებს ეკლესიის გეზის მიმართვას მსოფმთავრობის კურსისკენ!..

არადა, ზესოფლიური ეკლესია არ შეიძლება დაუმორჩილო ამა სოფლის სულს, რომლის თავადი — ეშმაკია. და რადგან, ნეოწარმართულმა რევანშმა ჩაანაცვლა ეკლესიაზე მზრუნველი ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა, ამიტომ, აუცილებლად, წინასწარმეტყველ ესაიას და წმიდა მაქსიმეს სულიერებით განმსჭვალულმა მრევლმა უნდა მოაწყოს ახალი „რუის-ურბნისი“ და ჩვენს ეკლესიას გააწყვეტინოს ევქარისტული კავშირი ეკუმენისტურ მსოფლიო ეკლესიასთან, განწმინდოს და გაასწოროს საკურთხეველი, რაც მისცემს შანსს ადგილობრივი ეკლესიების ანტიეკუმენისტ მართლმადიდებლებს გადმოვიდნენ საქართველოს ანტიეკუმენისტური, არაერეტიკული, არასერგიანული და სუფთა მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში, ანუ ჭეშმარიტად ერთი, წმიდა, სამოციქულო და მსოფლიო ეკლესიაში, რის გამოც ღმერთი გვიხსნის მტერთაგან. სხვანაირად აღარ გაბრწყინდება იბერია, რადგან ოფიციალურ ეკლესიებს ანტიქრისტე დაეპატრონება და ქრისტეს ეკლესია კატაკომბაში გადავა. ამასთან, მინდა, ყურადღება გავამახვილო სამეფო კანდიდატის მომზადების საკითხზეც (რასაც ლევან ვასაძესაც მიაწერენ). ანტიქრისტეს მომყვანი მასონები ფლობენ სიტუაციას ყველგან და ცვლიან ადამიანთა მართლმეხსიერებით ცნობიერებას, ისე როგორც სამოთხიდან გამოსულ ადამიანებს გაუკეთა ეშმაკმა და ღმერთის მაგივრად ეშმაკი გააღმერთებინა.

მტერი მუშაობს ეკლესიის შიგნითაც და სამეფო კანდიდატის აღზრდა იზოლირებულად ვერ მოხერხდება, ხოლო, მასონურად აღზრდილი მეფეები თავადვე აწყობთ, ვინაიდან დემოკრატიულ წყობილებას შეცვლიან მონარქიულით, რა ნიადაგზეც უნდა გამეფდეს ანტიქრისტე... ესეც ერთობ გასათვალისწინებელია.

რადგან ლევან ვასაძეზე ვსაუბრობთ, პირდაპირ ვიტყვი: იგი რომც მოვიდეს ხელისუფლებაში, არაა ახალი „რუის-ურბნისის“ კრების მომწვევი, რადგან, მის ბერკეტს აკლია ესაიასეული(მიახლოებითი) სულისკვეთება, რის გამოც არის ცალმხრივი, თორემ, რომელიმე სრულყოფილი მართლმამხილებელი ლევანის ასპარეზზე რომ იდგეს, პირველ რიგში ამით დაიწყებდა...

**სახარებიდან ვიცით — მდიდარი ძნელად შევა სასუფეველში და ესენი (მილიარდელები) სიცოცხლეს შეელევიან სამშობლოსთვის? ლევან ვასაძე ასეთი კაცი რომ ყოფილიყო — ხელს არ დააფარებდა არც ივანიშვილს, არც მასონობას, რომლებიც სამაგიეროდ ანგარიშებს გაუყინავდნენ და ნოლზე დასვამდნენ, ანუ, ამათ თან სახელიც უნდათ და თან სახრავიც, თან წუთისოფლისეული „სამოთხე“ და თან ზეციური სამოთხეც!**

**... ჩემი სათქმელის კონტექსტში სახარებისეული მდიდრის იგავი ზუსტად იმ მეთოდითაა გამოყენებული, რა ორაზროვნებითაც ადგილი ჰპოვა სახარებაში — რეალურ-სიმბოლურადაც და სულიერადაც: რეალურად — ისტორიული ფაქტია, რომ ერთმა მდიდარმა თავადმა მიმართა ქრისტეს ცხონების შესახებ და პასუხად მიიღო — ძნელია, რამეთუ გარეგნულად ყველაფერსაც რომ ასრულებდე, ხოლო შენი გული ღმერთს კი არა წუთისოფელს ეკუთვნოდეს, ვერ ცხონდებიო, რის გამოც მდიდარმა დატოვა ქრისტე; ამიტომ თქვა მან... „უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველშიო,“...**

ლევან ვასაძეც მდიდარია და თუ წმინდა გიორგივით ქრისტესთვის თავს გასწირავს სულიწმიდის მტრებთან შერკინებით (რომლებიც ქრისტეს ეკლესიას ებრძვიან ჩვენს სამშობლოში და ანტიქრისტეს მსოფლიოზე გაბატონების გამო აჩანაგებენ ქვეყანას, კაცს, ქალს, ბავშვს, ზნეობას და ა. შ...), მაშინ სიმბოლური, მეორე გააზრება — სულიერი სიმდიდრისა, მისგან სავსებით რეალიზებული იქნებოდა... წინააღმდეგ შემთხვევაში კი — მატერიალური სიმდიდრე მისთვის ბოროტებად გადაიქცევა და არა სულის საცხოვნებელ სიკეთედ, რადგან „მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური ამქვეყნად“...

ზოგიერთებისგან განსხვავებით, მან კარგად უწყის, რა ტორი ადევს მსოფლიოს, განსაკუთრებით სამოთხისკენ გზაგაკვალულ მართლმადიდებლობას და საქართველოს, იცის და ამ ორივე დილემას უჩვენოდაც ხვდება, მაგრამ ჩვენნაირი ოპოზოციონერები უფრო სჭირდება, რათა საკუთარი თავის შესაძლებლობებს არ გადაახტუნოს ცდუნება-ამპარტავნებამ და მოუზომავში არ გადავარდეს, ხოლო, თუკი ჩვენი მიდგომა მას სტიმულს მისცემს ქრისტიანულ მეშურნეობაში, მაშინ მით უკეთესი....

სახარების კონტექსტშივე განვაგრძოთ: წმიდა მამები გვაფრთხილებენ, რომ ანტიქრისტეს გამოჩინებას წინ უნდა უძღოდეს ფულის კულტის ქადაგება (საპირისპიროდ ნათლისმცემლის — სინანულის ქადაგებისა) და მატერიალური ტაძრების აღმშენებლობა, სულიერი ტაძრის საწინააღმდეგოდ; ასევე, ბოლო ჟამის პოლიტიკა შედარებულია მეძავს, რომელთანაც „მეძავობენ“ ამა ქვეყნის ძლიერნი და რომლითაც ადამიანთა ცნობიერებაში ცვლიან ქრისტეს —- ანტიქრისტეთი; ამიტომაც, ამ გზის გავლა წესიერ ადამიანს ეთაკილება და ცდილობს, ღმერთს მიმართოს, რათა უშველოს სამშობლოს და მასში ტანჯულ ქრისტიანებს.

რადგან, ლევან ვასაძე აღმოჩნდა იქ, სადაც მისასვლელი გზა სხვათათვის(არანაკლებ ვაჟკაცთათვის) მიუღებელი იყო, ახლა მას უკვე ძალუძს არჩევანის გაკეთება — ან ჭეშმარიტი ბრძოლა, ან — მოჩვენებითი, ანუ კომპრომისულ —კონფორმისტულ — ფსევდოქრისტიანული, რაზედაც წმინდანები გვაფრთხილებდნენ და რის გამოც ცხონება უბრალო მორწმუნესაც კი უჭირს, არამცთუ ფულის, დიქტატურისა და მეძავური პოლიტიკის ხლართებში დაბნეულებს!

**რედაქციისგან: ცნობილი პუბლიცისტის და ფოლკლორისტ-ფილოლოგის ზვიად ნოდიას ეს წერილი, ალბათ, საპოლემიკოდ განაწყობს როგორც ბატონ ლევან ვასაძეს, ისე ამ მარადიული, დღემდე გადაუწყვეტელი ცხოვრებისეული პრობლემით დაინტერესებულ მეცნიერებს, მწერლებს, ბიზნესმენებს, რელიგიის მსახურთ და სხვ.**

**ჩვენ სიამოვნებით დავბეჭდავთ ყველას ნააზრევს. მოგვწერეთ, ვიკამათოთ, ვითანამშრომლოთ!**

# საკუთარ ამბიციებს ქვეყანა არ უნდა გადააყოლო

**თავისუფალი დემოკრატების წევრებმა გიორგი ცაგარეიშვილმა, ვიქტორ დოლიძემ და დავით ონოფრიშვილმა კომიტეტების თავმჯდომარეების პოსტები დატოვეს. for.ge ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში იუწყებოდა, რომ თებერვალში, საკანონმდებლო ორგანოში, ირაკლი ალასანიას გუნდის პოლიტიკური განიარაღება დაიწყებოდა. ასეც მოხდა. გასულ კვირას, ვიცე-სპიკერის პოსტიდან ზურაბ აბაშიძე გადააყენეს, რომელიც ამ თანამდებობაზე გუბაზ სანიკიძემ ჩაანაცვლა.**

**პარლამენტში განხორციელებულ და დაგეგმილ საკადრო ცვლილებებზე, for.ge უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს ესაუბრა:**

**– ვიცე-სპიკერის პოსტიდან ზურაბ აბაშიძე რატომ გადააყენეთ?**

– თქვენი კითხვა მიკვრის, რადგან ყველაფერს თავისი წესი აქვს. ფრაქცია თავისუფალი დემოკრატები ირაკლი ჩიქოვანმა რომ დატოვოს, ის ფრაქციის თავმჯდომარედ მაინც დარჩება? ეს ხომ სასაცილო იქნება?! ანალოგიური ვითარებაა აბაშიძის შემთხვევაშიც, რადგან მას ვიცე-სპიკერის თანამდებობა სწორედ უმრავლესობის კვოტით ეკავა. მან უმრავლესობა დატოვა, ამ ფონზე კი, უმრავლესობის კვოტით ვიცე-სპიკერი როგორ უნდა ყოფილიყო? თავისუფალი დემოკრატების განცხადებები მოვისმინე, რომ პოსტიდან ზურაბ აბაშიძე გადავაყენეთ, რომელიც სააკაშვილმა საცემად გაიმეტა. რეანიმაციაში აბაშიძის საწოლთან მე ვიდექი, რადგან ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ერთად ვიბრძოდით და ზურას თავის ნაშრომს არავინ უკარგავს, უბრალოდ, ის ამჟამად სხვა პოლიტიკურ ძალაშია და რა ლოგიკაა, რომ მას ეს პოსტი უმრავლესობის კვოტით ეკავოს? ეს კვოტა უმრავლესობის იყო და თუკი მმართველი გუნდი თავის კვოტებს ოპოზიციას ასე დაურიგებს, მაშინ რისი უმრავლესობაა?

როდესაც, პოლიტსაბჭოს სხდომაზე აბაშიძის საკითხი გადაწყდა, მას დავურეკე და ავუხსენი, რომ ეს არის პოლიტიკა, პოლიტიკიდან მომავალში წავალთ და ადამიანური ურთიერთობები დაგვრჩება. ჩემი ეს განცხადება ზურამაც ნორმალურად მიიღო და ჩვენ პიროვნულად კონფლიქტი არ გვაქვს. სამწუხაროდ, ვინც პოლიტიკიდან შორს არის, ის მეგობრობას და ძმაკაცობას პოლიტიკაში ურევს. ძმაკაცობას და კაცობას ვერავინ მასწავლის. ზურაბ აბაშიძის საკითხი რომ დადგა, რატომ უკვირთ? თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა თავისი ფრაქციის თავმჯდომარედ მე დამნიშნონ? ამას ვინმე გაიგებს? ასეთი ვითარებაა აბაშიძის შემთხვევაშიც.

**– რეგლამენტში არსებულ ჩანაწერზე აპელირებთ და იქ მართლაც წერია, რომ ზურაბ აბაშიძეს ვიცე-სპიკერის პოსტი უმრავლესობის კვოტით უკავია, მაგრამ ვიცე-სპიკერის თანამდებობიდან მურმან დუმბაძე რატომ ვერ გადააყენეთ, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა? თქვენ მისი პოსტიდან გადაყენება განიზრახეთ, მაგრამ წინააღმდეგობა აჭარის დეპუტაციამ გაგიწიათ, რომელთა კვოტა ამჟამად დუმბაძეს უკავია. დუმბაძის შემთხვევაში, უძლურნი რატომ აღმოჩნდით?**

– არ ვიტყოდი, რომ დუმბაძის წინაშე უძლურნი აღმოვჩნდით. ამ შემთხვევაშიც კანონს არ ვახტებით თავზე. ერთია, რა გსურს და მეორეა, კანონში რა წერია. რეგლამენტის მიხედვით, აჭარის დეპუტაცია ვიცე-სპიკერის პოსტზე ერთ კანდიდატურას აყენებს. პარლამენტში აჭარის დეპუტაცია ექვსი კანონმდებელით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ოთხი უმრავლესობაში იყო, ხოლო ორი უმცირესობაში. დუმბაძის შემთხვევაში, აჭარის დეპუტაციის ხმები იყოფა და მისი პოსტიდან გადაყენება ვერ ხდება, რითაც დუმბაძე ძალიან კარგად სარგებლობს. დუმბაძეს პოსტიდან გადაყენების საფრთხე იმ მარტივი მიზეზის გამო არ ემუქრება, რომ სამი დეპუტატიდან, რომელთაც მის გადაყენებას ხმა უნდა მისცენ, ერთი თვითონ არის, ერთი კი მისი მეგობარი როსტომ ხალვაშია, რომელიც ამბობს, რომ მურმანის წინააღმდეგ ვერ გამოვა. როსტომ ხალვაში ჩვენი ფრაქციის წევრია, მაგრამ მას პოზიციის შეცვლას ვერ ვაიძულებთ და ამის გამო პარტიიდან მისი გარიცხვა ზედმეტი იქნება. მინდა ხალვაშს გავუგო, რომ მას დუმბაძის გადაყენება გაუჭირდება, მაგრამ ამ ყველაფერს რეგლამენტი არეგულირებს და პარლამენტს უფლება აქვს რეგლამენტი შეცვალოს და ამ სიტუაციიდან გამოსავალი გზა გამოძებნოს. ვფიქრობ, რომ რეგლამენტის შეცვლა სწორი და მართებული იქნება, მაგრამ ამ იდეას იმ დეპუტატთა ნაწილი მხარს არ უჭერს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს სიტუაციას დაძაბავს.

**– როდესაც, უმრავლესობაში ზურაბ აბაშიძის პოსტიდან გაშვებაზე იმსჯელეთ, კონსესუსი ერთხმად მიიღეთ და ამ იდეას მოწინააღმდეგე არ გამოუჩნდა?**

– პოსტიდან ზურაბ აბაშიძის გადაყენების წინააღმდეგ გედევან ფოფხაძე გამოვიდა. გედის მესმის, რადგან ის წლების მანძილზე თავისუფალი დემოკრატების გუნდში იყო. მისი გადაწყვეტილება ადამიანურად გასაგებია, მაგრამ პოლიტიკურად მიმაჩნია, რომ ეს მისი პოლიტიკური შეცდომაა. გედი ძალიან განათლებული და გამოცდილი ადამიანია, მაგრამ როცა ის ამბობს, რომ პოლიტიკურ თანამდებობაზე ოპონენტის ყოფნა შესაძლებელია, ეს შეცდომაა.

**– ზურაბ აბაშიძის პოსტიდან გადაყენების მოტივად რეგლამენტში არსებულ ჩანაწერს ასახელებთ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ის ხომ არ არის, რომ თავისუფალ დემოკრატებს ბიუროზე ხუთი ხმა აქვთ და ისინი გადაწყვეტილებების მიღებისას უმრავლესობას გარკვეულ პრობლემებს უქმნიან?**

– მეტი მოტივი არ არსებობს, ვიდრე არსებობს რეგლამენტი, კანონი და წესი. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველო-გერმანიის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრისას საქართველოს გუნდის კაპიტანი გერმანელი იყოს? მეტი მარტივად, ზურაბ აბაშიძის შემთხვევა როგორ აგიხსნათ? არ შეიძლება, ფიქციას თვალი წავუხუჭოთ. ამას საზოგადოება ხომ უყურებს? თუკი ვიძახით, რომ არ შეიძლება, სამსახურში ნათესავი დაასაქმო და ეს ნეპოტიზმია, ის შეიძლება, შენს გუნდს ოპოზიციონერი ხელმძღვანელობდეს? სხვა მოტივაციებს რატომ ეძებთ? ზურა შესანიშნავი მეგობარი და მოქალაქეა, მაგრამ ის სხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს.

**– სხვა ქვეყნების რეგლამენტისგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში არ წერია, რომ კომიტეტებს ოპოზიციონერები ხელმძღვანელობენ. თუკი ბატონ ვახტანგ ხმალაძეს მართებულად მიაჩნია, რომ კომიტეტებს ოპოზიციონერი დეპუტატები უნდა ხელმძღვანელობდნენ, მას შეუძლია ეს ინიციატივა მომამზადოს და რეგლამენტში ჩავწეროთ, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციონერი უნდა იყოს და მაშინ, ხმალაძე პოსტიდან გადადგება. თუკი რეგლამენტში ეს არ წერია და აღნიშნულია, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს ხმების უმრავლესობით ირჩევენ და ამჟამად, კომიტეტებში უმრავლესობაში „ქართული ოცნებაა“, ეს როგორ არის?**

– თუმცა, რეგლამენტში არსად არ წერია, რომ კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციონერი არ უნდა იყოს. ანუ, კანონდარღვევა არ იქნება, თუკი ეს ადამიანები პოსტებს შეინარჩუნებენ...

## „თავში კომბლებს რომ მირტყამდნენ,




## მაშინ „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში იყვნენ“

**– არავინ ამბობს, რომ კომიტეტის ხელმძღვანელად ოპოზიციონერის არსებობას კანონი კრძალავს. რეგლამენტი ამბობს, რომ თავმჯდომარეს კომიტეტის უმრავლესობა ირჩევს. პოსტებზე თავისუფალი დემოკრატების არჩევა მაშინ მოხდა, როცა ისინი უმრავლესობაში იყვნენ და ახლა აღარ არიან. ასევე მეორე საკითხია ის, რომ ჩვენი კომიტეტის თავმჯდომარეები გამოდიან და ხელისუფლების საქმიანობას აკრიტიკებენ.**

– ვერ დაგეთანხმებით, რომ დოლიძე კომიტეტის წინააღმდეგ საქმიანობს. პირიქით, ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის ის დიდ შრომას ეწევა...

ვიქტორ დოლიძის პოლიტიკური შეხედულებები „ქართული ოცნების“ მოსაზრებებისგან განსხვავდება. ის სხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. პოლიტიკურ მოვლენებზე პასუხისმგებლობა „ქართულმა ოცნებამ“ აიღო, მოსახლეებამ კონკრეტული ხაზის გატარება ჩვენ დაგვავალა და ამომრჩეველი შედეგებს ჩვენ გვთხოვს. ვიქტორ დოლიძე ჩემი უახლოესი მეგობრის შვილია და ქვეყანა სულ რომ დაინგრეს, ვიქტორზე ცუდ სიტყვას ვერავინ მათქმევინებს.

**– ევროინტერგაციის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან ვიქტორ დოლიძის წასვლას საკითხს ხმას მისცემთ?**

– რა თქმა უნდა, მივცემ. ვალდებული ვარ, რომ წესი დავიცვა. ვიქტორი ხვალ რომ უმუშევარი დარჩეს და მას პარლამენტის დატოვება მოუწიოს, იმისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვიქტორის მსგავსი პროფესიონალი სადმე მუშაობდეს.

**– გამორიცხავთ, რომ თქვენი პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო, მეგობრის შვილის – ვიქტორ დოლიძის დაკარგვა მოგიწიოთ?**

– ეს ვიქტორის საქმეა და განცხადება თავად უნდა გააკეთოს, მაგრამ თუ პროფესიონალზე ვსაუბრობთ, ყველაზე კარგად საპროცედურო საკითხები ხათუნა გოგორიშვილმა იცის და ის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა დავსვათ? ეს საკითხისადმი რა მიდგომაა? ვიქტორი გამოდის და იმ საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს. კომიტეტის თავმჯდომარეს სხვა დამოკიდებულებები აქვს და მას მთავრობასთან როგორი თანამშრომლობა გამოუვა? ხელისუფლება პასუხს რაზეც აგებს, ის სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს როგორ უნდა ჩავაბაროთ, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი თქვენს საწინააღმდეგოდ უნდა ვაკეთოო?! ამაში ლოგიკა არ არის?

**– ვფიქრობ, რომ მორალური თვალსაზრისით, თავისუფალი დემოკრატების პოსტებიდან გაშვება უხერხულობას შეგიქმნით...**

– პარლამენტში ვართ, თუ ზნეობის გაკვეთილებზე? ამომრჩეველი რომ მკითხავს, საგარეო კურსთან დაკავშირებით მთავრობა ერთს ამბობს, ხოლო დოლიძე სხვასო, მას რა ვუპასუხო? აქ მორალი რა შუაშია? ამორალურს ვაკეთებთ რამეს? ნეპოტიზმი მარტო სისხლით ნათესაობაა? თუ აღმოჩნდა, რომ პოსტზე ნათესავი დავნიშნე, ეს ნეპოტიზმია, ხოლო თუკი მეგობარს თანამდებობა არ ეკუთვნის და იქ დავტოვე, ეს ნეპოტიზმი არ არის?

**– ვინაიდან, კომიტეტების პოსტებიდან თავისუფალი დემოკრატების გადაყენებისთვის 76 დეპუტატის ხმა გჭირდებათ, ირაკლი ალასანიას გუნდის წევრები რიტორიკულ კითხვას გისვამენ – მათ გადაყენებას ყოფილი ნაციონალებით აპირებთ?**

– ეს სხვა საკითხია. თუ მაგ მსჯელობას მივყვებით, თავისუფალი დემოკრატები რომელი გუნდიდან მოვიდნენ, ძალიან კარგად მახსოვს. როდესაც, წლების მანძილზე, ოპოზიციაში ვიყავი და თავში კომბლებს მირტყამდნენ და რეზინის ტყვიებს მესროდნენ, ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, მაგრამ როცა საკუთარი პოზიციები შეიცვალეს, ერთად დავდექით და ზურაბ აბაშიძეს ფიზიკური ტრავმა რომ მიაყენეს, მის საწოლთან პირველი მე ვიდექი და ის საავადმყოფოში მე მივიყვანე. „მემარჯვენეები“ ჩემი წვალებით შევქმენი და მათთან ერთად ათი წელი ვიარე, მაგრამ როცა ვნახე, რომ მათ სხვა პოზიცია ჰქონდათ, მათ გამოვეყავი და ამიტომ, ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართ? ახლა რა გავაკეთო, ჩემი ყოფილი თანაპარტიელები მოვიყვანო და თანამდებობებზე დავსვა? ეს წარმოგიდგენიათ? შეიძლება ყველამ გამაკრიტიკოს, მაგრამ მორალსა და ზნეობაში ნურავინ შემეჯიბრება. ჩემგან ამორალური ის იქნება, რომ როგორც უმრავლესობის ლიდერმა, ყველაფერზე თვალი დავხუჭო და დოლიძე პოსტზე დავტოვო.

გედის ძალიან დიდ პატივს ვცემ, ის ჩემთვის სხვა ადამიანია, მაგრამ გედიმ ჩათვალა, რომ მისი როგორც პარლამენტარის როლი მეათე ხარისხოვანია და მან პირველ ხარისხში ის დააყენა, რომ აბაშიძის მხარდასაჭერად ხელი ასწია. ეს პოლიტიკურად შეცდომაა, რადგან სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ხარ და შენს თანამდებობას სხვა პარტიის წევრს აძლევ. კაი ბიჭობაზეა საუბარი, თუ იმაზე პოლიტიკაში რა უნდა ვაკეთოთ? ზოგიერთს ჩემზე წარმოდგენა აქვს, რომ ძალიან ხისტი ვარ, მაგრამ კუდის ქიცინი და ვიღაცაზე თავზე ხელის გადასმა არ შემიძლია, როცა ვხედავ, რომ რაღაც სწორი არ არის. პარლამენტის შენობიდან რომ გავალ, შემიძლია ადამიანს გადაყვე და მოსისხლე მტერსაც გადავყოლილვარ, მაგრამ საქმე საქმეა.

**– ვიცე-სპიკერის პოსტზე გუბაზ სანიკიძე რატომ დანიშნეთ, რომელსაც ამ მოწვევის პარლამენტში ღირებული არაფერი შეუქმნია? ამ ადამიანმა დიასპორის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ისეთი რა გააკეთა, რომ ის დააწინაურეთ?**

– საუბარი იმაზე არ არის, რომ გუბაზმა რაღაც გააკეთა და ის ამიტომ დააწინაურეს. ვიცე-სპიკერობა რანგით კომიტეტის თავმჯდომარეზე მეტი არ არის. ვიცე-სპიკერობა პოლიტიკური თანამდებობაა, ხოლო კომიტეტის ხელმძღვანელობა მენეჯერობაა. გუბაზი კავკასიის საკითხების კარგი მცოდნეა და თუკი პარლამენტში პოლიტიკური თანამდებობა ვინმეს ეკუთვნის, გუბაზს ეკუთვნის.

**– რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილ ნინო გვენეტაძეს, თქვენ ბრძანეთ, რომ კანდიდატის შერჩევისას პრეზიდენტმა შეთანხმების რაღაც ნაწილი დაარღვია. რას გულისხმობდით?**

– პრეზიდენტს შევთავაზეთ, რომ მას ამ თანამდებობაზე ორი ან სამი კანდიდატი წარმოედგინა და ჩვენ უფრო ღირსეული აგვერჩია. მარგველაშვილმა ეს შეთავაზება არ მიიღო და ერთი კანდიდატი დაასახელა, რაც იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა პირობა დაარღვია. მე არ მითქვამს, რომ მარგველაშვილმა პირობა დაარღვია. ამას გარდა, პრეზიდენტს ვუთხარი, რომ მის მიერ შერჩეულ კანდიდატს კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე გავიტანდი და მას უმრავლესობის მოსაზრებას ვეტყოდი, კანდიდატი რამდენ ხმას დააგროვებდა, მაგრამ მან ბრძანა, რომ ჩვენს მოსაზრებას არ დაუცდიდა და კანდიდატურას დააყენებდა. პრეზიდენტი კონსულტაციებზე რატომ მეძახდა, თუკი კანდიდატურის დასახელებას 30 წუთში აპირებდა?! მან აქ პირველისგან განსხვავებით შეთანხმება დაარღვია და ამით ძალიან გაკვირვებული დავრჩი. კონსულტაციებს ის შედეგი ჰქონდა, რომ კრიტერიუმები განვსაზღვრეთ. სამწუხაროდ, პრეზიდენტს ტყუილად დააბრალეს, რომ მან ანტიკონსტიტუციური კრიტერიუმები განსაზღვრა, როდესაც ითქვა, რომ კანდიდატს პოლიტიკური წარსული არ უნდა ჰქონდეს. ამაზე უმრავლესობის წევრებიც ბევრს საუბრობდნენ.

**– თქვენ საუბრობდით იმაზე, რომ კანდიდატს პოლიტიკური წარსული არ უნდა ჰქონდეს, თუმცა, ნინო გვენეტაძე რესპუბლიკურ პარტიაში საქმიანობდა. თუკი მას მხარს დაუჭერთ, თქვენს თავთან წინააღმდეგობაში არ მოხვალთ?**

– კოალიცია ცდილობდა, რომ კანდიდატი პოლიტიკურ წრეებს მოშორებული ყოფილიყო. სამწუხაროდ, ჩვენმა თანაგუნდელმა თავისი ამბიციებით დაგვაბრკოლა როდესაც იძახდა, რას ჰქვია, კანდიდატი პოლიტიკური პარტიის წევრი არ უნდა იყოსო. ამ ადამიანის მიზანი იყო, რომ პიარი გაეკეთებინა და ეს კრიტერიუმი მოეცილებინა, რაც სხვისთვის დამაზიანებელი აღმოჩნდა. თუკი ქუცნაშვილი გამოვა და გვენეტაძეს მისი რესპუბლიკელობის გამო დაიწუნებს, მისი გუშინწინდელი საუბარი, რომ კანდიდატს პოლიტიკური წარსული არ უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგობრივი იქნება. ვერ ვიტყვი, რომ ნინო გვენეტაძე ამ პარტიის ლიდერი იყო, მაგრამ ის პარტიის სახელით კენჭს იყრიდა და ეს პარტიულობაზე კითხვებს ბადებს. მის ბიოგრაფიაში რომ ყოფილიყო, რომ ის ნაციონალების წევრი იყო, იმ პრეამბულიდან გამომდინარე, რაც ქუცნაშვილმა შექმნა, ამაზეც ვერ ვისაუბრებდით.

პოლიტიკოსს ძალიან დიდი დაკვირვება მართებს, როცა ასეთ სიღრმეებში შედის. საკუთარ ამბიციებს ქვეყანა და საქმე არ უნდა გადააყოლო.

**თეონა მანაგაძე**

## დაგვასვენეთ!

**არავითარი სურვილი არ მქონდა ასე მკვახედ მიმემართა იმ ფიგურანტებისთვის, რომელთაც ტელესარეკლამო ბაზარზე მონოპოლიური პოსტები უკავიათ, მაგრამ გაჩუმების მაგივრად შარი თვითონვე რომ აგვიტეხეს? ამის საბაბად გამოიყენეს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინიციატივით პარლამენტში შესული კანონპროექტი, რომელიც სატელევიზიო სივრცეში რეკლამის განთავსების ახლებურ რეგულაციას (საათში მხოლოდ 20 პროცენტი, ანუ 12 წუთი დაუთმონ რეკლამას) გულისხმობს. ამან დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მედიასექტორში, კერძოდ, ეგრეთწოდებულ „ტელევიზიონშიკებში“, რომლებმაც კანონის მხარდამჭერ პარლამენტარებს, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ბრალდებით, პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ტელეარხ „რუსთავი-2“-ის თავკაცის ნიკა გვარამიას ჟურნალისტური ნორმებისა და ზრდილობა-ეთიკიდან ამოვარდნილი „შეტაკება“ დეპუტატ ქალბატონ გუგული მაღრაძესთან, რომელსაც კანონის უცოდინრობასთან ერთად რაღაც ფინანსურ „სამხილზეც“ მიანიშნა.**

# ხალხს თქვენი რეკლამები ყელში ამოუვიდა!




მაინც რატომ აეწვა კუდი ნიკა გვარამიას ასერიგად, რა ისეთი ცვლილებები შედის კანონში, რომ, როგორც თავად გვაუწყებს, მედიის თავისუფლებას ყოფას უტირებს, „რუსთავი 2“-ს ფინანსურად გააკოტრებს და ჟურნალისტთა დიდ ნაწილს უმუშევრად დატოვებს? როგორც ირკვევა, საგანგაშო და სავიშვიშო არაფერი ხდება. მართებული იქნება ითქვას, რომ ბრუნდება 2011 წლამდე კანონში არსებული ნორმა იმის შესახებ, რომ ტელემაუწყებლებს შეუძლიათ რეკლამის განთავსება არა უმეტეს 20 პროცენტისა, რაც შეადგენს 12 წუთს. ეს რეგულირება ევროდირექტივის შესაბამისია და საქართველოსათვის სავალდებულოა მას შემდეგ, რაც ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი.

ეს შეზღუდვა ადრე იურიდიულად სავალდებულო არ იყო, მაგრამ კანონში იდო, რამდენადაც კანონმდებლობა ითვალისწინებდა ევროინტეგრაციის კურსის სამომავლო გაძლიერებას. 2011 წელს კი მოხდა ის, რომ პარლამენტში ნაციონალურმა უმრავლესობამ ეს მუხლი შეცვალა, ანუ მოხსნა ლიმიტი გარკვეულ საათობრივ ზოლებში. ახლა ხდება ამ მუხლის აღდგენა, რასაც ამჟამინდელი ნაცუმცირესობა და მისი რუპორი „რუსთავი-2“ თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან.

ალბათ, იკითხავთ და სრულიად კანონზომიერადაც, რატომ? ამის განმარტებას საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი **კახა ბექაური** იძლევა:

**— „ლიმიტების მოხსნის არგუმენტები, — ამბობს ის, — არ არსებობდა. ინიციატორი იყო პარლამენტის მაშინდელი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი და არანაირი მოტივაცია ამ ცვლილებებს არ ჰქონდა. ინიციატორები იშველიებდნენ ევროდირექტივებს, თუმცა, ამ დირექტივის საწინააღმდეგო გააკეთეს და ეს აღნიშნულია კიდეც შესაბამის დასკვნაში. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა — „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ — მაშინ დაწერეს უარყოფითი დასკვნები ამ ლიმიტის მოხსნასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის, რომ ეს არის ბაზრისთვის ხელისშემშლელი და ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ცვლილებები. ასევე, აღნიშნული აქვთ, რომ ეს არის ევროდირექტივების საწინააღმდეგო ცვლილებები. ორივე ამ ორგანიზაციამ მაშინ უარყოფითი დასკვნა დაწერა“.**

მიზანი, ბატონებო, მიზანი რა შეიძლება ყოფილიყო? ბექაური ამასაც განმარტავს:

**— „რეალურად, ეს იყო იმისთვის გაკეთებული, რომ მომხდარიყო დემპინგური ფასებით ოპერირება მსხვილი ტელევიზიების მხრიდან. მაშინაც მსხვილი ტელევიზიები იყო „რუსთავი-2“ და „იმედი“ და ორივე ტელეკომპანია კონტროლირებადი იყო ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, მათი მიზანი იყო, რომ დემპინგური ფასებით სარეკლამო ბაზარზე აღარ დარჩენილიყო რესურსი არც იმ მაუწყებლობისთვის, რომელთაც შეზღუდული არეალი აქვთ და არც სხვა მედიასაშუალებებისთვის. მაშინ მაზანი იყო ის, რომ ბაზრის წვრილ ფიგურანტებს არ ჰქონოდათ დამატებითი ფინანსური წყარო ფუნქციონირებისათვის, ფაქტობრივად, ეს გადაწყვეტილება მიმართული იყო სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, რათა არ განვითარებულიყო მედიაბაზარი. ეს იყო მაშინდელი რეალური მოტივი ლიმიტების გაუქმებისა“.**

აი, თურმე რატომ აუტყდათ მუცლის გვრემა მიშნაცების ნარჩენებსა და მათი იდეური რუპორის — „რუსთავი-2“-ელ ჟურნალისტებს სარეკლამო ლიმიტების აღდგენასთან დაკავშირებით, რასაც სულ ტყუილად ნათლავენ მედიაზე ხელისუფლების ზეწოლისა და ტელეარხების გაკოტრების მცდელობად. **სიმართლე თუ გაინტერესებთ, ის არის, რაც მაშინ ნაცების წყალობით, ლიმიტების გაუქმებას შედეგად მოჰყვა: მას შემდეგ, დღემდე, ტელესარეკლამო პროდუქტებზე ფასები არის დემპინგური. რადგან გარკვეულ საათობრივ ზოლებში, მაგალითად, გასართობი გადაცემებისა და სერიალების ზოლებში არ არსებობს ლიმიტირება, მსხვილი ტელევიზიები, კერძოდ, „რუსთავი-2“ და „იმედი“, დემპინგური ფასების ხარჯზე, დაბალ ფასად ათავსებენ დიდი რაოდენობის რეკლამას. ამით საერთო სარეკლამო ბაზარს აპატარავებენ და უსამართლო კონკურენციის პირობებში ითვისებენ პატარა ტელევიზიების, ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერნეტ-პორტალების სარეკლამო ბაზრის წილს.**

ჰოდა, ამ წილის, სხვებისთვის წართმეული წილის დაკარგვა რომ არ უნდათ, ამიტომ აწკმუტუნდნენ მშიერი ლეკვებივით რუსთაველები და არა იმიტომ, რომ საქართველოში, მათი აზრით, მსოფლიოს უპირველეს დემოკრატიულ ქვეყანაში, სიტყვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება(!).

ეს ჩვენი ნიადაგ „ჭეშმარიტების მაძიებელი“ სამთავრობოებიც („საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) რომ ვირეშმაკობენ? ადრე ესენი უარყოფითად აფასებდნენ სარეკლამო ლიმიტების მოხსნას, ახლა კი, როცა მათი აღდგენა იგეგმება, ისევ ცხვირაბზუებულები არიან, იმიზეზებენ, რატომ შედის ცვლილება ძალაში ასე ნაუცბათევადო. არადა, როგორც კახა ბექაური განმარტავს, ცვლილება კანონში შედის ეტაპობრივად. ფაქტობრივად, პირველ წელს ტელეკომპანიებს 12 წუთის ნაცვლად 16 წუთი შეეძლებათ რეკლამის განთავსება. „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში, რომელიც ყველაზე მეტად აპროტესტებს ცვლილებებს, არხი პირველ წელს ისარგებლებს 16-წუთიანი რეკლამის უფლებით. ფასების 17-პროცენტიანი მატებით, რაც მან უკვე გააკეთა, არათუ არ დაკარგავს შემოსავალს, არამედ გაეზრდება კიდეც ამ წელთან შედარებით.

არასამთავრობოებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ 2011 წელს გაუქმებულმა საათობრივმა ლიმიტმა სარგებელი მისცა მხოლოდ მსხვილ ტელეკომპანიებს, რომლებიც ბაზარს თავს ახვევდნენ დემპინგურ ფასებს. საერთო ჯამში ამან დააპატარავა სარეკლამო ბაზარი, რამაც დააზარალა ბაზრის ყველა მოთამაშე, მათ შორის, რეგიონული ტელევიზიები, ტელევიზიები შეზღუდული გავრცელების არეალების და სხვა მედიასაშუალებები, რომელთა ბიზნესმოდელი სარეკლამო შემოსავლებზეა დაფუძნებული. ამიტომაც არ ეპიტნავებათ მსხვილებს გაბატონებული პოზიციის დათმობა და დიდი შემოსავლების დაკარგვა.

თუმცა, ამ ცვლილებების ანალიზი სამომავლოდ, როგორც უკვე ვთქვით, მსხვილ ტელეარხებს ამის საშიშროებას არ უქადის. **მაგრამ გული მაინც ეღერღებათ, როგორც ჩანს, იმდენად გულღრძუები არიან, რომ არ უნდათ კონკურენტების გაძლიერება. ცხადია, ხვდებიან, რომ თავად არ დაკარგავენ შემოსავალს, მაგრამ მათი კონკურენტები, პატარ-პატარა ტელეარხები და სხვა მედიასაშუალებები, ნამდვილად მიიღებენ იმაზე დიდ შემოსავალს, ვიდრე დღეს აქვთ. პროცენტული ზრდა გაცილებით მეტი ექნებათ მათ, ვიდრე „რუსთავი-2“-ს და „იმედს“.**

ხედავთ რა ხდება? საქართველოში თავისუფალი მედიასივრცის „პირველ მერცხლებს“ — რუსთავიორელებს, რომლებსაც ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიის ემისრებადაც ვიცნობთ, არ სურთ ქვეყნის სარეკლამო სივრცეში მოთამაშე სხვა ფიგურანტებთან ერთად თანაბარ, ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში ილვაწონ და შემოსავლები ამის მიხედვით გადაინაწილონ. ოღონდ საკუთარ ბიზნესსა და ჯიბეზე იმუშაონ და კონკურენტებიც და ხალხიც, რომელსაც მათი უწყვეტ-გაუთავებელი, ნერვების დამწყვეტი რეკლამები ყელში ამოუვიდა, სულაც ერთ ადგილზე ჰკიდიათ. ამიტომაც უადვილდებათ, იოლრაშონ, აქეთ გვიმტკიცონ, რომ ევროპული ღირებულებების ერთგულებაში ამოსდიით მზე და მთვარე და იქით სიბილწეში იბუდარაონ. ახალი დაწყებული რომ ჰქონდეთ ეს საქმე, კიდევ შეიძლებოდა მათთვის რაიმე დაგვეჯერებინა, მაგრამ ახლა?!. მალე ახალ კანონს პარლამენტი მესამე მოსმენით მიიღებს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ალიან-ჩალიანი

# მილიონი ევრო ეროვნული პარკების მოსაწესრიგებლად

**საქართველოს ეროვნულ პარკებს კავკასიის ბუნების დაცვის ფონდისგან ერთი მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გადაეცემათ.**

**საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შონვაძემ და კავკასიის ბუნების ფონდის პროგრამის დირექტორმა დანიელ სეპიკმა.**

**ხელშეკრულება ვაშლოვანის, თუშეთის, ყაზბეგის, კინტრიშის, ჯავახეთის და ალგეთის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განახლებას ითვალისწინებს. გრანტის საერთო თანხა ერთ მილიონ ევროს შეადგენს.**




**ხელშეკრულება უზრუნველყოფს 3 წლის მანძილზე ცხოველთა სამყაროს სახეობაზე მონიტორინგის სისტემის შექმნას, ტურისტულ ინფრასტრუქტურის აღდგენას, მათ მოვლა-შენახვას, სახელფასო დანამატს, საკონსულტაციო მომსახურებასა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.**

**როგორც კავკასიის ბუნების ფონდის პროგრამის დირექტორმა დანიელ სეპიკმა განაცხადა, შეთანხმების თანახმად, დაცულ ტერიტორიების რეინჯერებს გადაეცემათ ახალი აღჭურვილობა, ასევე თანამშრომლებს გაეზრდებათ ხელფასები და განახლდება დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა.**

**ინტერპრესი**

## დედამიწის ზურგზე



**დონეცკის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო გადასაცვლელად კიდევ ასზე მეტ უკრაინელ სამხედრო მოსამსახურეს ამზადებს**

**წყაროების მონაცემებით, დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო სტრუქტურებში მთლიანად ქვაბში დებალცევოს მახლობლად მოლაშქრეებს ტყვედ ჩაბარდა დაახლოებით 400 უკრაინელი სამხედრო. ამ დღეებში სეპარატისტებმა 14 სამხედრო ტყვე გაუშვეს, კიევმა კი — 50-ზე მეტი.**

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არმიის საბრძოლო მზადყოფნას ზრდის „რადიკალურად“**



**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა მოუწოდა გაამარტივონ არმიის სტრუქტურა „უმაღლესი სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრების შესაბამისად“ და მომზადების დროს „შეჩერდა სამხედრო მოქმედებების მეთოდებზე ამერიკელ იმპერიალისტებთან დაპირისპირებაში“. რუსეთში მიემგზავრება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეოეკონომიკურ კავშირურთიერთობათა მინისტრი.**

* * *

**ევროკავშირს შეუძლია დაბლოკოს რუსეთთან უნგრეთის ატომური კონტრაქტი**



**„დი ფინანსიკალ ტაიმსის“ წყაროების მონაცემებით, ევროკავშირს შეუძლია, დაბლოკოს კონტრაქტები იმ საფრთხის გამო, რომ უნგრეთის ხელისუფლება გამოვა ანტირუსული სანქციების გაფართოების წინააღმდეგ. როგორც გაზეთი აზუსტებს, ამჟამად ორი ევროპული სტრუქტურა სწავლობს ატომურ შეთანხმებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის მიხედვით.**

* * *

**პარიზში ვანდალებმა იანვრის ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ძეგლი წაბილწეს**

**მონუმენტი, რომელზეც დაფენილი იყო ყვავილები, ფოტოგრაფიები და ხელნაწერი გზავნილები, დადგმულია პარიზის ცენტრში რესპუბლიკის მოედანზე. 7-დან 9-იანვრამდე პერიოდში საფრანგეთის დედაქალაქსა და მეზობელ ქალაქ მონრუჟში ტერორისტების ხელით 17 კაცი დაიღუპა. მათი უმრავლესობა ჟურნალ „ჩარლი ჰებდოს“ რედაქციაზე თავდასხმის მსხვერპლი გახდა.**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2015 წლის 24 თებერვლიდან აცხადებს აუქციონს ფერადი ლითონის ჯართის და სხვადასხვა მასალების რეალიზაციის შესახებ.**

ლოტი №1 – სპილენძის ჯართი:

*სუფთა ჯართი* – სავარაუდოთ 2127 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 9891 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

*მაღალი ძაბვის სადენები* – სავარაუდოთ 220 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 584 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

*კოლექტორები, გრაგნილები, კოჭები* – სავარაუდოთ 7336 კგ. - საწყისი სააუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 27973 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე.

ლოტი №2 – სხვადასხვა მასალა:

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა (სავარაუდო) | 1 კგ. ფასი, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თითბერის ლენტა 0.1×20 | კგ | 19 | 2,33 |
| 2 | სპილენძის სადენი ПММ 4×16 | კგ | 100 | 4,65 |
| 3 | სპილენძის სადენი 1.56×3.8 | კგ | 149 | 4,65 |
| 4 | სპილენძის სადენი 1.5×16 | კგ | 135 | 4,65 |
| 5 | სპილენძის სადენი 11.8×11.8 | კგ | 225 | 4,65 |
| 6 | სპილენძის სადენი 0.83×3.53 | კგ | 320 | 4,65 |
| 7 | სპილენძის სადენი 2.12×4 | კგ | 99 | 4,65 |
| 8 | კოლექტორი 76.5×5×2.89 | კგ | 1200 | 4,65 |

ლოტი №3 – სხვადასხვა მასალა:

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა (სავარაუდო) | 1 კგ. ფასი, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სადენი ПСДТКЛ 0,85 | კგ | 218 | 3,85 |
| 2 | სადენი ПСДТКЛ 1,25 | კგ | 128 | 3,85 |
| 3 | სადენი ПСДТКЛ 1,8×2,5 | კგ | 1277 | 3,85 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში „ბე“ მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე“ არ დაუბრუნდება.

აუქციონში მოგებული მასალის და ჯართის გადაწონვა განხორციელდება სს „ელმავალმშენებელის“ ელექტრონულ სასწორზე.

აუქციონში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს მოგებული საქონლის დატვირთვა თავისივე ხარჯებით დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებაში და საზოგადოების ტერიტორიიდან გადატვირთვა.

სხვა კონკრეტული დეტალები დაზუსტებული იქნება პრეტენდენტთან გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმი დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 26 თებერვალს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707

**სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

## ◉ ალიან-ჩალიანი



### გივი ჭიჭინაძე იმერეთის გუბერნატორია

**ვაკის** რაიონის გამგებელის კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება, — ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

„გივი ჭიჭინაძის სახით იმერეთის რეგიონმა ძალიან ღირსეული გუბერნატორი შეიძინა. რაც შეეხება ვაკის გამგებლის კანდიდატურას, თუ ვინ იქნება გამგებელი, გაიმართება კონსულტაციები და მოგვიანებით წარმოვადგენთ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ. ვაკის რაიონის უკვე ყოფილი გამგებელი გივი ჭიჭინაძე იმერეთის გუბერნატორად დაინიშნა. აღნიშნულ პოსტზე ჭიჭინაძის კანდიდატურა მინისტრთა კაბინეტის წევრებს დღევანდელ სხდომაზე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა წარუდგინა.

### მთავრობა სავალუტო ფონდისგან სესხის აღებას არ აპირებს

**ამის** შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა. მისივე განმარტებით, საუბარია სხვა დონორებისგან დამატებითი ფინანსების მოზიდვაზე. „საქართველოში სავალუტო ფონდის მისიაა ჩამოსული. მისიის წარმომადგენლებს ჩემთან ექნებათ შეხვედრა. ისინი ასევე შეხვედრებს გამართავენ ეროვნულ ბანკსა და ეკონომიკის სამინისტროში. ეს არის სამუშაო შეხვედრები, რომლის დროსაც განვიხილავთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. სავალუტო ფონდისგან ჩვენ სესხის აღებას არ ვაპირებთ. წინა კვირას, ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ სავალუტო ფონდთან შეიძლებოდა ყოფილიყო კომუნიკაცია სხვა დონორებისგან სესხის აღების თაობაზე. ეს არის კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიბმული თანხები და ეს არ არის თანხები, რომელიც წავა ბიუჯეტში. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მსოფლიო ბანკისგან, აზიის განვითარებს ბანკისგან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განითარების ბანკისგან მივიღოთ დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის შესაძლო დაფინანსება“, — აღნიშნა ხადურმა.

### არც ერთი ჯანდაცვითი და სოციალური პროექტი არ შემცირდება

**შრომის**, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, არც ერთი ჯანდაცვითი და სოციალური პროექტი არ შემცირდება. იგი გამოეხმაურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას რომ მთავრობა აპირებს ხარჯების 12%-ით შემცირებას.

კითხვაზე, უშუალოდ სერგეენკოს უწყებაში რა სფეროებს შეეხება ეს შემცირება, დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ როგორც გიორგი კვირიკაშვილმა იმავე განცხადებას ცალსახად დაამატა, ამ კვირის განმავლობაში გაიწერება მოქმედების გეგმა, რომელიც სახელმძღვანელო გახდება ყველა სამინისტროსთვის. რაც შეეხება უშუალოდ მის სამინისტროს, სერგეენკომ აღნიშნა, რომ არც ერთი ჯანდაცვითი და სოციალური პროექტი არ შემცირდება.

### დავით სერგეენკო: შრომის ინსპექცია ბიზნესს საფრთხეს არ შეუქმნის

**შრომის** ინსპექცია ბიზნესს არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის, — ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შესაბამის კითხვაზე პასუხისას განუცხადა. მინისტრის განმარტებით, შრომის ინსპექცია, ისევე, როგორც შრომის საკითხებთან მიძღვნილი ნებისმიერი თემა, აუცილებელია განხილული იყოს სამმხრივ ფორმატში, სამი მხარე კი მოიაზრებს სახელმწიფოს, პროფკავშირების და დამსაქმებლების ჩართულობას.

„შრომის ინსპექცია რომ დაინერგოს, ამისთვის საჭიროა შესაბამისი სპეციალისტების გადამზადება, რაც არ არის მოკლე პერიოდი და რამდენიმე თვე სჭირდება. ასევე საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციური ცვლილებების დახვეწა. რაც შეეხება იმას, ყველა კმაყოფილი იქნება თუ არა შრომის ინსპექციის, მე ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც დეტალურად გაეცნობიან შინაარსს, არანაირი კითხვა არ დარჩება და არანაირი საფრთხე არ შეექმნება ბიზნესს“, — განაცხადა მინისტრმა.

„ხელშეკრულებების გადახედვა არ მოხდება, მოხდება იმ პირობების გადახედვა, რომელიც პოტენციურად შეიძლება შეიცავდეს ტრეფიკინგის რისკს.

ეს არის საერთაშორისოდ მიღებული და მაქსიალურად რბილად გაწერილი, გარდამავალი პერიოდის მქონე დოკუმენტი, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის ბიზნესს“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

### შეიმცირებენ კი, მსუყე პრემიებს?

**რეგიონული** განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი ვარაუდობს, რომ მთავრობის ხარჯების შემცირებაში შესაძლოა, პრემიები მოხვდეს. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრო ამ კუთხით რამდენიმე პროექტს ამზადებს.

„სამი ალტენატიული პროექტი იქნება, რომლებსაც განვიხილავთ. დაახლოებით იქნება ხარჯების 10-დან 12%-მდე შემცირება. თანამშრომელთა რიცხვი და ხელფასი არ შემცირდება. ეს, ალბათ ეს იქნება პრემიების ხარჯი, ეს არის სხვა დანახარჯები, როგორიც არის მაგალითად მანქანები და ა.შ“, — განაცხადა დავით შავლიაშვილმა.

### საპროტესტო აქცია




**არასამთავრობო** ორგანიზაციებმა უზენაეს სასამართლოსთან კონსტანტინე კუბლაშვილის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გამართეს.

აქცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ორგანიზებით გაიმართა. როომლის თავმჯდომარემ არჩილ კაიკაციშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აქციის მონაწილეებმა კონსტანტინე კუბლაშვილის 10-წლიანი პერიოდი გააპროტესტეს.

„კოტე კუბლაშვილის შემცვლელს ხვდება უმძიმესი მემკვიდრეობა. მთავარი პრობლემა არის სასამართლოს დამოუკიდებლობა, მთავარი გამოწვევა კი არის სამართლიანი სასამართლოს გარდაქმნა. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ თავისუფლება აუცილებელია მართლმსაჯულებისთვის და არ უნდა დავუშვათ ათწლიანი პერიოდის მცირე მონაკვეთის განმეორებაც კი“, — განაცხადა კაიკაციშვილმა.

### რომის პაპი უკრაინას ეწვევა?

**უკრაინის** უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა იური ტანდიტმა უკრაინული „მეხუთე არხის“ ეთერში განაცხადა, რომ პონტიფიკოსმა უკრაინის პრეზიდენტის მოსაწვევი წერილი მიიღო.

„რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი ვატიკანიდან, სადაც შევხვდი რომის პაპს. მას გადავეცი პრეზიდენტ პოროშენკოს მოწვევა, მან კი გვითხრა, რომ ის ჩამოვა უკრაინაში. მინდა მივულოცო უკრაინელებს, რომ რომის პაპი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვისაც ლოცულობს, უკრაინაშიც ჩამოვა“, — განაცხადა ტანდიტმა.

ინტერპრესი

### ძიუდო




# გერმანული ნადავლი

**ერთი „ოქრო“, ორ-ორი „ვერცხლ-ბრინჯაო“ და ვაჟებში გუნდური მეორე ადგილი იაპონიის შემდეგ — ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ქართველმა ძიუდოისტებმა დიუსელდორფის დიდ პრიზზე. ჩვენმა ფალავნებმა განსაკუთრებულ წარმატებას 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიაღწიეს. გაგვახარა ვარლამ ლიპარტელიანმა, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.** ჩვენებურმა ჯერ დაამარცხა შვედი ევროპის ჩემპიონი მარკუს ნიმანი, ვისთანაც 2010 წელს კონტინენტის ფინალური პაექრობა დათმო, მერე ასევე იპონით აჯობა ყაზახ ისლამ ბოზბაევს და ამერიკელ ტომას კაპრას. ნახევარფინალში თანაგუნდელი ბექა ღვინიაშვილი დაამარცხა, გადამწყვეტ პაექრობაში რუსი ყაზბეგ ზანკიშიევი დაჯაბნა და პირველი ადგილი დაიკავა. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა ბექა ღვინიაშვილი, რომელმაც ნახევარფინალამდე კორეელთა აზიის ჩემპიონ ჰან დონ გვაკს, ბრაზილიელ ედუარდო სილვას, ბრიტანელ გარი ჰალს სძლია, დამამშვიდებლის ფინალში კი სერბი ალექსანდრ კუკოლჯი დაამარცხა და ჩვენს გუნდს „ბრინჯაო“ მოუტანა. მეორე მსგავსი ჯილდო ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ) დაიმსახურა. ვერცხლის მედლები ნუგზარ ტატალაშვილსა (73) და ავთანდილ ჭრიკიშვილს (90) ერგოთ. ტატალაშვილმა გადამწყვეტი პაექრობა იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ შოჰეი ონოსთან დათმო, ჭრიკიშვილი კი ფინალში ბელგიელ ევროპის ორგზის პრიზიორ იოახიმ ბოტიესთან გაფრთხილებით დამარცხდა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ვარლამ ლიპარტელიანის (თეთრ კიმონოში) მორიგი ფანდი.**

### ჩოგბურთი

# ქვაცაბაია ანტალიაში პირველია



**გასულ უქმეებზე ანტალიაში დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. მესამე ნომრად განთესილმა სოფიო ქვაცაბაიამ ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია:** კიმბერლი ზიმერმანს (ბელგია, 6:0, 6:3), რებეკა პოიკაიარვის (შვედეთი) — 6:2, 7:6, მელის სეზერს (თურქეთი) — 6:1, 5:7 6:3, ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილ ალიონა სოტნიკოვას (უკრაინა) — 7:6, 5:7, 7:6, გადამწყვეტ პაექრობაში კი რუმინელ დიანა ბუზეანის (რუმინეთი) — 6:4, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა. ქვაცაბაიამ წლეულს მეორედ მოიგო 10.000-იანი ტურნირი, კარიერაში კი მერვედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ანტალიური ტურნირის რეიტინგფავორიტმა ეკატერინე გორგოძემ ორ მეტოქეს აჯობა - იასმინ გულმანსა (თურქეთი, 6:0, 6:2) და კაროლინ კურცს (ავსტრია, 6:2, 6:3), მეოთხედფინალი კი ვიქტორია კანთან (რუსეთი) წააგო — 6:1, 6:3, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**გივი გაგუა**

**სურათზე: სოფიო ქვაცაბაია.**

### მხატვრული ტანვარჯიში

# გურზებით „ბრინჯაო“ მოიპოვა

**ქართველმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები — ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე) წარმატებით იასპარეზა რუსეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიოს გრან პრიზე, სადაც 35 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ მედლებისთვის.** ფაჟავამ მრავალჭიდში 67,349 ქულით მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, გურზებით ვარჯიშში იყოჩაღა — 17.500 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ჩვენებურს ბელარუსმა მელიტინა სტანიუტამ (18.166) და რუსმა იანა კუდრიავცევამ (17.866) გაუსწრეს. ფაჟავამ რგოლით 17.516 ქულა მოაგროვა და მეოთხე იყო. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მარგარიტა მამუნი (რუსეთი, 18.900), 2. სტანიუტა (18.233), 3. ნეტა რივკინი (ისრაელი, 17.750).

მრავალჭიდში პირველ-მეორე ადგილებზე რუსი მსოფლიოს ჩემპიონები — მარგარიტა მამუნი (73.049) და იანა კუდრიავცევა (72.432) გავიდნენ. 72.098 ქულით მესამე ადგილი მელიტინა სტანიუტას (ბელარუსი) ერგო.

**თამაზ პატარაია**

**სურათზე: სალომე ფაჟავა ლენტით ასპარეზობისას.**



### რაინდების დაფასება

# სახელოვან ფალავნებს ვარსკვლავები გაუხსნეს

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით თბილისის ფალავანთა კლუბთან ტიტულოვანი მოჭიდავეების — სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ როსტომ აბაშიძისა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და მსოფლოსა და ევროპის ჩემპიონატების ოთხგზის გამარჯვებულ ზარბეგ ბერიაშვილის (თავისუფალი ჭიდაობა) ვარსკვლავები გაიხსნა. ორივე სპორტსმენი დაჯილდოებულია „სპორტის რაინდის“ წოდებით.**

ბათუმელი როსტომ აბაშიძე (გუშინ მას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!) საჭიდაო ხალიჩაზე გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდა - 1956 წელს 21 წლისამ საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე მე-3 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს ახალგაზრდობის მე-3 საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშები მოიგო. იმავე წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა და მერე კიდევ ორჯერ (1960, 1962) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ორჯერ მე-2 ადგილი დაიკავა, 1958, 1962 და 1963 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ივან პოდდუბნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა მსგავს შეჯიბრებებში რამდენჯერმე მოიპოვა მთავარი პრიზი. საერთაშორისო სარბიელზე 90 ორთაბრძოლა ჩაატარა და არც ერთი არ წაუგია — მხოლოდ ხუთი შეხვედრა დაასრულა ფრედ.

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი 1958 წელს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტიდან ჩამოიტანა. ფინალში მრისხანე მეტოქე ჰყავდა — მადიარი ფალავანი გეორგ გურიჩი, რომლსაც ქართველმა ფალავნებმა სისხლი გაუშრეს: 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროსკენ მიმავალი გზა დავით ციმაკურიძემ გადაუღობა და ბრინჯაოს დასჯერდა; ამის შემდეგ გურიჩი „კლასიკურზე“ გადავიდა. 1955 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გივი კარტოზიამ აართვა „ოქრო“ და „ვერცხლს“ დაყაბულდა. ანგარიშის გასწორებას აბაშიძისთვის აპირებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა მასპინძელი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

როსტომ აბაშიძე მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკის



უმაღლეს საფეხურზე 1962 წელს ამერიკულ ტოლედოში რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ისმეთ ათლის (თურქეთი), 1963 წელს კი ფინეთის დედაქალაქში რუმინელი ნიკოლაე მარტინესკუს ძლევით ავიდა.

ავჭალელი ზარბეგ ბერიაშვილის აღზევება 1961 წლიდან დაიწყო: მაშინ ქართველმა ფალავანმა საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატზე საკავშირო ნაკრების ექვსი წევრი დაამარცხა, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ სინიავსკი, ალიმბეკ ბესტაევი და სსრკ ჩემპიონი რობერტ ჯღამაძე. მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატის ფინალში იური გუსოვს აჯობა და შემდეგ ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში (1963-1966) ტიტული არ დაუთმია. მეექვსედ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 1969 წელს ავიდა. ბატონმა ზარბეგმა სწორედ იმ წელიწადს აისრულა ყველაზე დიდი სურვილი — მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. შეჯიბრებას არგენტინულმა მარ-დელ-პლატამ უმასპინძლა. ქართველმა ფალავანმა ოთხ მეტოქეს აჯობა — ამერიკელ ვეინ ველსს, დასავლეთგერმანელ ადოლფ ზეგერს, ირანელ მოჰამედ ფარხანდუსტს, ბულგარელ სტოიან ბიმბალოვს, ფინალში კი ფინელი მატი პოიკალა 2 წუთსა და 17 წამში ბეჭებით გააკრა ხალიჩას. მანამდე ბერიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორი ვერცხლისა (1963, 1967) და ერთი ბრინჯაოს (1965) მედალი დაიმსახურა. ბატონ ზარბეგს ევროპის ჩემპიონატებზე ოთხჯერ (1965, 1966, 1967, 1970) ოქროს მედლები ხვდა.

ორივე ქართველ ფალავანს ვულოცავთ ღვაწლის დაფასებას — მათი სახელობის ვარსკვლავების გახსნას.

**ვაჟა დანელია**

### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XXVI ეროვნული ჩემპიონატის XVI ტური.**

„სამტრედია“ — „დინამო“ 0:1, „გურია“ — „ზესტაფონი“ 1:0, „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“ 2:2, „ცხინვალი“ — „დილა“ 0:1, „ჩიხურა“ — „სიონი“ 2:0, „ტორპედო“ — „კოლხეთი“ 0:0, „ბაია“ — „შუქურა“ 1:0, „ბათუმი“ — „მეტალურგი“ 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 32, „დილა — 31, „ბათუმი“ — 27, „სამტრედია“, „ჩიხურა“ — 25-25, ცხინვალი“ — 24, „მეტალურგი“ — 23, „გურია“ — 22, „მერანი“ — 21, „ზესტაფონი“ — 19, „შუქურა“, „კოლხეთი“ — 18-18, „ტორპედო“ — 17, „ბაია“ — 15, „სიონი“ — 14, „ვიტ ჯორჯია“ — 13 ქულა.

**28 თებერვალს ითამაშებენ**: „სიონი“ — „დინამო“, „დილა“ — „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ — „სამტრედია“, „კოლხეთი“ — „ბათუმი“, „მერანი“ — „ცხინვალი“, „მეტალურგი“ — „ზუგდიდი“, „ზესტაფონი“ — „ჩიხურა“, „შუქურა“ — „გურია“.

**ინგლისი.** „ჩელსი“ — „ბარნლი“ 1:1, „სიტი“ — „ნიუკასლი“ 5:0, „კრისტალ პალასი“ — „არსენალი“ 1:2, „სუონსი“ — „მანჩესტერი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ლივერპული“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი “ — 60, „სიტი“ — 55, „არსენალი“ — 48,



„მანჩესტერი“ — 47, „საუთჰემპტონი“ — 46 ქულა.

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 2:1, „ვერონა“ — „რომა“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ტორინო“ 1:1, „ლაციო“ — „პალერმო“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 57, „რომა“ — 48, „ნაპოლი“ — 42, „ლაციო“ — 40, „ფიორენტინა“ — 39 ქულა.

**ესპანეთი.** „ელჩე“ — „რეალი“ 0:2, „ბარსელონა“ — „მალაგა“ 0:1, „ატლეტიკო“ — „ალმერია“ 3:0, „კორდობა“ — „ვალენსია“ 1:2, „სოსიედადი“ — „სევილია“ 4:3, „ვილიარეალი“ — „ეიბარი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 60, „ბარსელონა“ — 56, „ატლეტიკო“ — 53, „ვალენსია“ — 50, „სევილია“ — 45, „ვილიარეალი“ — 44 ქულა.

**გერმანია.** „პადერბორნი“ — „ბაიერნი“ 0:6, „ვოლფსბურგი“ — „კიოლნი“ 2:1, „ჰამბურგი“ — „გლადბახი“ 1:1, „შალკე“ — „ვერდერი“ 1:1, „აუგსბურგი“ — „ლევერკუზენი“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 55, „ვოლფსბურგი“ — 47, „გლადბახი“ — 37, „შალკე“, „აუგსბურგი“ — 35-25 ქულა.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ — „ნანტი“ 1:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ტულუზა“ 3:1, „სენტ ეტიენი“ — „მარსელი“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი.** „ლიონი“ — 54, „პარი სენ-ჟერმენი“ — 52, „მარსელი“ — 50 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

## უქმე დღეების ჩანაწერები

### „საქართველო“, მხოლოდ „საქართველო!“

**ბევრი, ვინც ამ ცხოვრებას არხეინად მიყვებ-მოყვება და თავს არ იტკივებს საქვეყნო საკითხებით, გაკვირვებულია ანზორ ბაბუხადიას უსერიოზულესი გატაცებით — როგორმე მიაღწიოს, რომ ჩვენს სამშობლოს — საქართველოს, საქართველო ერქვას მსოფლიოს ყველა ენაზე და არა ისე, როგორც დღემდე მოვედით — ზოგისთვის „გრუზია“, ზოგისთვის „ჯორჯია“...**




**აი, რას მიყვება ანზორი:**

— ცნობილია, რომ „იბერიისა“ და „ეგრისის“ სამეფოების გაერთიანების შემდეგ ქვეყანას „საქართველო“ ეწოდა, მაგრამ (ეგეც ბედია) ზოგი „გრუზიას“ გვეძახდა, ზოგი „გურჯისტანს“, ზოგი „ჯორჯიას“, ზოგი „ვრასტანს“... რატომ ძმაო, რატომ?!

ჩემს აკვიატებას, საბედნიეროდ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში არსებობის უფლება და რეალიზაციის პირობები შეექმნა, უამრავი თანამოაზრე გამომიჩნდა, თითო სიტყვა და კომპეტენტური აზრი ყველამ შემაწია, აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა, პროფესორმა გიგა ბათიაშვილმა, პროფესორმა მინდია უგრეხელიძემ, ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ — ჩვენმა საამაყო ადამიანებმა...

ამ საკითხს მხარი დაუჭირეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ, ბევრმა, ბევრმა...

რა თქმა უნდა, ანზორს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენიც, ეს არასერიოზული, თანაც ურთულესი საკითხიაო... მაგრამ გადაწონეს მომხრეებმა.

ამაში უმალ დარწმუნდებით, თუ დაათვალიერებთ ანზორ ბაბუხადიას მიერ ახლახან გამოცემულ წიგნ-ალბომს, **„დიახ, საქართველო, არის ესე“,** რომელშიც მან მოათავსა ყველა ის გამოხმაურება, რაც ამ წლებში დაუგროვდა ჩვენი საზოგადოებისგან. ეს საზოგადოება კი, თავისი საქმითა და ავტორიტეტით, სრულიად საქართველოს წარმოადგენს. და აი, ამ საქვეყნო საქმეში ანზორი დიდი იმედით ელოდება საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის მხარდაჭერას. გაჭიანურდება საკითხი? ანზორს სჯერა, რომ მას, ხვალ-ზეგ მაინც აუცილებლად გადაწყვეტს მომავალი, თავისი შვილიშვილების ანდრიასა და მიხეილის თაობა, რომელთაც ამ წიგნ-ალბომს უძღვნის კიდეც ავტორი.

### რა ეშველება ამ ქვეყანას!..

**„მარშრუტკის“ სალონში მუსიკას ახალი ამბები ცვლის, შემაძრწუნებელ (ჩვენთვის — ჩვეულებრივ) ინფორმაციას ვისმენთ მგზავრები: ლაგოდეხის რაიონში ვიღაცას ბიძა და მისი ძმიშვილი მოუკლავს... თოფით მოუკლავს და გაქცეულა...**

— ეეეე... რა ეშველება ამ ქვეყანას! — დარდიანად ამბობს ჩემ გვერდით მჯდომი მოხუცი კაცი და ფანჯარაში იყურება.

რავა ყველას სათქმელი თქვა ამ დალოცვილმა! მაშ... დღე ერთია, არასასიამოვნო ინფორმაცია კი უამრავი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან... აბა, პრესა, აბა, რადიო, აბა, ტელევიზია... ცუდი ამბის კიდევ უფრო ჩამუქება „რუსთავი-2“-ის მიერ და მეტი კი აღარ უნდა ისედაც საცოდავ დღეში ჩავარდნილ საქართველოს მოსახლეობას.

ძარცვა-მკვლელობები, თითქოს, ჩვეულებრივი ამბავი გახდა... მომრავლებული ოჯახური უსიამოვნებანი, ამ ბოლო დროს, „ძალადობა“ რომ შევარქვით, მე თუ მკითხავთ, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის გალატაკებამ, პურის ფულის უქონლობამ, ოჯახში ქალის „უფროსობამ“ და მამაკაცის ფუნქციის დაკნინებამ გამოიწვია.

უზომოდ გაუფასურებული ლარი და გაძვირებული სურსათ-სანოვაგე, უცხოეთიდან — მაკკეინისა და სხვა „ჭკუის დამრიგებელთა“ გამოხმაურებანი... თუ რაიმე დამოუკიდებლად ჩაიდინა ჩვენმა ხელისუფლებამ... იქეთ რუსეთისგან იმედმიცემული აფხაზეთისა და ცხინვალის გაყოყოჩებული ლიდერები...

ტყუილ-უბრალოდ ვცდილობ პრობლემების ჩამოთვლას... ვარიანტი არ არი...

მართლაცდა, რა ეშველება ამ ქვეყანას?!

ისე, კვირა საღამოს, ტელევიზიით, მდგომარეობის გაუმჯობესების დიდი იმედი მისცა მოსახლეობას საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. გვჯეროდეს?!.

### სტუმრიანობა ბალაშვილთან



**საერთო აღიარებით, ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერია. ა ბატონო, ჯემალ ბაღაშვილი... ეტყობა შესთავაზა ტელეკომპანია „იმედმა“ და ჯემალმაც უმალ მოიწვია მაყურებელი „სტუმრად იუმორინასთან“. დამეთანხმებით, ერთი-მეორეზე უკეთესი გადაცემები გამოსდის ბალაშვილს. რა გასაკვირია, მომღერალი არ აკლია და იუმორისტი. მათი უმრავლესობა ჯემალის წაქეზებით არის დაფრთიანებული თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე.**

ხოლო ამ სცენაზე „ივერიისა“ და „იუმორინას“ შემადგენლობაში რეები დაუტრიალებია ჯემალ ბალაშვილს — პოეტს, კომპოზიტორს, მომღერალს, სცენარისტს, რეჟისორს... მთელმა საქართველომ ზეპირად იცის და მე რაღა შეგახსენოთ.

...შევცქერი გუშინწინ ტელეეკრანზე ჯემალ ბალაშვილის გადაცემას და თან, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, დედაუნივერსიტეტში გატარებული განუმეორებელი დრო რიალებს გონებაში. მაგონდება ჯემალ ბალაშვილის, ვაჟა ჩხაიძის, თემურ ცაგურიას, ეთერ კაკულიას და სხვათა მადლიანი გამოსვლები სტუდენტურ საღამოებზე... მაშინაც შესანიშნავი იყო ჯემალის ხმა და გიტარის ტკარცალი... მოგვიანებით კი გვახსოვს მარეხ გოძიაშვილის, ჯემალ ბალაშვილის, ვახტანგ ტატიშვილის შესანიშნავი ტრიო...

ვიგონებ... ჯემალი კი ამასობაში ზურა დოიჯაშვილს იწვევს სტუმრად და ისიც დაშხოშიანად ასრულებს ჯემალ ბალაშვილის სიმღერას: **„მარტი, მარტი, მარტი, მარტი, მარტი, ჩემთვის ეკალი და სხვისთვის ვარდი“.**

....მარტი და გაზაფხული კი უკვე კარს მოგვდგომია!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ეპიტაფია

# შოთა ნაკაიძე



საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის მთავარი სწავლული მდივანი **შოთა ნაკაიძე**.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1961-1968 წწ.) მუშაობდა მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელ ინსტიტუტში წამყვან კონსტრუქტორად, ჯგუფის ხელმძღვანელად. მისი მონაწილეობით რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის დაპროექტდა მსოფლიოში პირველი ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური დანადგარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების (1974 წ.) შემდეგ მოღვაწეობდა იმავე ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ლაბორატორიის გამგემდე. როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი 1985 წელს გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების (შემდგომ სამსახურის) უფროსად, სადაც იმუშავა ორ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში. აკადემიის რეორგანიზაციის (2007 წ.) შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა განყოფილების მთავარ სწავლულ მდივნად.

შ. ნაკაიძე 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორია. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები აღინიშნა გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიით. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

შესანიშნავი სპეციალისტისა და კეთილშობილი პიროვნების ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, ახლობლებისა და ნაცნობების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## მოსაგონარი

# ევტიხი ჩაჩავა

**100 წლისთავის გამო**



ბატონ ევტიხის მიერ შრომითა და პატიოსნებით განვლილი ცხოვრების გზა, მისი მდიდარი სულიერი სამყარო, ბევრისათვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს. ამიტომაცაა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა მის შთამომავლობასთან ერთად, სიამაყით აღნიშნავს დაბადებიდან ასი წლისთავს. ღმერთმა გაანათლოს სული მისი, ამინ!

მოგონება ვერ დაიტევს,
შენს ამაგს და ღირსებებს,
ამიტომაც ვამაყობთ და
ყველა ტკბილად გიხსენებს.

შენებური სიყვარული,
ყველას უნდა გაგვაჩნდეს,
უფლის მადლი არ მოშლოდეს
შენი მოდგმის ჩაჩავებს!

**ალეკო კაკულია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

**შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს საინჟინრო აკადემია“ იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი**

**შოთა ნაკაიძე**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

**ჯონი ბიჭიაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს. მისამართი: ქობულეთის ქ. 24. დაკრძალვა 24 II.**

---

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის 1961 წლის 582 ჯგუფის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკეთესო მეგობარი და პიროვნება**

**ალექსანდრე (სანდრო) სიფროშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ალექსანდრე ჩხეიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი**

**ალექსანდრე (სანდრო) სიფროშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---



**აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, დამსახურებული ექიმი, მეან-გინეკოლოგი**

**ნანა ფაღავა**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## ინფორმაცია

### ზამთრის ბოლო სითბო

**თებერვლის** ბოლომდე საქართველოში თბილი და უნალექო ამინდია მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსის სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, თბილი და უნალექო ამინდი საქართველოს უმეტეს რაიონში 1 მარტამდე შენარჩუნდება.

დღეს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობსა და ზემო იმერეთში იქროლებს ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 10-15 მეტრი წამში, ზოგან კი 20-25 მეტრი წამში იქნება.

მიმდინარე კვირის განმავლობაში, დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 22 გრადუსამდე გათბება, აღმოსავლეთ საქართველოში კი ტემპერატურა შედარებით დაბალია და 10-15 გრადუსის ფარგლებში შენარჩუნდება.

თებერვლის ბოლომდე ღამით მთასა და მაღალმთაში მოსალოდნელია ყინვა. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მთაში -3 გრადუსი; მაღალმთაში -8 გრადუსი,

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში -6; მაღალმთაში -10 გრადუსი; ბარში -4 +1 გრადუსის ფარგლებში იქნება.

### ბაბუშერას ტრაგედიის გამოძახილი

**ბაბუშერას** ტრაგედიის დროს დაღუპული კიდევ ხუთი მებრძოლის ნეშტის იდენტიფიცირება მოხდა, — ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ინფორმაციით, სულ, გადმოსვენებულია 30 მებრძოლი, რომელთაგან ამ დრომდე იდენტიფიცირებულია 9, ხოლო დანარჩენების იდენტიფიკაციისთვის გრძელდება მუშაობა.

დევნილთა სამინისტროს ცნობით, გუშინ, 14:30 საათზე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი ოჯახებისათვის ნეშტების გადაცემის პროცედურას დაესწრება.

## ჩვენი კარაბადინი

# გონებავ - გონს მოდი!

## ნერვული უჯრედები მაინც აღდგებიან

**ზამთარი ტრავმების დროა, მათ შორის, კეფა-ტვინისაც. ზოგჯერ მათ მოულოდნელ შედეგებამდე მივყავართ...**

**ამბობენ, რომ დაჟეჟვისა და შერყევების შემდეგ ადამიანებს ზოგჯერ ეხსნებათ ადრე უცნობი უნარი — მაგალითად, უცხო ენების ცოდნა ანდა უნარი — ამოიკითხო სხვათა აზრები. რას ფიქრობენ ამგვარ სასწაულებზე ექიმები? გვიამბობს ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ლეონიდ ლიხტერმანი.**

### გამოიღვიძე — გენიოსი ხარ?

— ჩვენს ინსტიტუტში რეგულარულად ხვდებიან გამოკვლევაზე პაციენტები „ზეუნარით", რაც, თითქოსდა ტრავმების დეს ვეგეტატურ („ბოსტნეულის") მდგომარეობაში. მაგრამ შესახედავად ეს იყო აბსოლუტურად ჯანსაღი ჭაბუკი — აქტიური, ენერგიული. სხვათა შორის, სკოლაში ის ოქროს მედალზე მიდიოდა. ერთადერთი გადახრა იყო — დიდი თავი (ტრავმის შემდეგ ტვინში ბევრი სითხე დაგროვდა). წესის მიხედვით (როგორც ახლა ამბობენ — სტანდარტების მიხედვით) იგი უნდა ამოგვეტუმბა, რათა დაბლა დაგვეწია თავის ქალის შიდა წნევა. მე ვივარაუდე, რომ სითხემ ცარიელი სივრცე დაიკავა და ამით ტრავმის შედეგების კომპენსირება მოახდინა. მის გამოცალკევებას შეიძლებოდა დაერღვია დამკვიდრებული წონასწორობა და პათოლოგიის განვითარებასთან მივეყვანეთ. ამიტომ

შემდეგ გამოუვლინდათ. მაგრამ ახლო შესწავლის დროს ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ისინი სასურველს გვთავაზობენ სინამდვილედ. ძველი ენები, რომლებიც მათ მოულოდნელად „გაიხსენეს", მოწვეული სპეციალისტების შეფასებით, აღმოჩნდება ხოლმე ჩვეულებრივი აბდაუბდა, გულში ჩამწვდომი ლექსები — ბანალური პლაგიატი, ექსტრასენსორული უნარი კი სულაც არაა.



მაგრამ სასწაულები ტრავმების შემდეგ, დაე თუნდაც იშვიათად, მაინც ხდება. ზოგჯერ საექიმო თვალსაზრისით აბსოლუტურად უიმედო პაციენტი მოულოდნელად მაინც აღდგება ხოლმე ავადმყოფობის შემდეგ.

ბურდენკოს სახელობის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში სამხედრო კომისარიატიდან 16 წლის ახალგაზრდა შემოვიდა. ტვინის ულტრაბგერითი გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა მას ვერანაირი სიგნალი ვერ აღმოუჩინეს— თითქოს ორგანო მკვდარი იყო! კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემებმა გააოგნეს ბევრი რამის მნახველი მედიკოსებიც კი — ჯერ კიდევ დედის საშოში გადატანილი ტრავმის შემდეგ ჭაბუკს სულ არ გააჩნდა მარჯვენა ნახევარსფერო, მარცხენა ნახევარსფეროდან კი დარჩენილი იყო პატარა ნაწილი. თეორიულად პაციენტი ასეთი ტვინით უნდა იყოს ინვალიდი და იმყოფებო-

ოპერატიულ ჩარევას ჩვენ თვალყურის დევნება ვამჯობინეთ. მას შემდეგ გავიდა 30 წელი. ჭაბუკმა დაამთავრა უნივერსიტეტი, შეირთო ცოლი, წარმატებით ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. სამკურნალო თვალსაზრისით ეს ნამდვილი სასწაულია!

### იდუმალი ნეირონები

**— რით ხსნიან ექიმები ასეთ მოვლენებს?**

— დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ნერვული უჯრედები (ნეირონები) არ აღდგება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი იბადება ნეირონების გარკვეული ოდენობით, რომლებიც შემდგომ ცხოვრების განმავლობაში იხარჯებიან. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მკვლევარებმა ტვინის გარკვეულ უბნებში ახალი ნერვული უჯრედების (ნეიროგენეზი) დაბადების უნიკალური პროცესი დაადასტურეს. ეტყობა, ცალკეულ (ტრავმების, ავადმყოფობების) შემთხვევებში ნეიროგენეზი მიმდინარეობს განსაკუთრებით აქტიურად, რასაც გარკვეულ უნართა გაძლიერებასთან (ან გაჩენასთან) მივყავართ. ნეიროგენეზის მექანიზმი დღემდე გამოცანად რჩება მეცნიერებისთვის. ამჟამად სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები მუშაობენ იმაზე, რომ ისწავლონ ნეიროგენეზის სტიმულირება და დააყენონ იგი მედიცინის სამსახურში. კერძოდ, აღადგინონ იგი ავადმყოფების დახმარებით ტრავმების, ინსულტების შემდეგ, შეამსუბუქონ მდგომარეობა ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების დროს.

**— არის განკურნების შემთხვევები წმინდა ადგილების მონახულების შემდეგ...**

— რწმენას სასწაულების მოხდენა შეუძლია. მედიცინის თვალსაზრისით, რწმენა, ლოცვები —ესაა ორგანიზმის უნიკალური მობილიზაცია, რომელიც განაწყობს მას თვითგანკურნებაზე, ურთულესი მდგომარეობის დაძლევაზე. პოსტულატსაც „თითოეულს მისი რწმენის მიხედვით" ასევე აქვს სამედიცინო ახსნა. რაც უფრო ძლიერია ადამიანის რწმენა, მით უფრო მაღალია მობილიზაცია. შედეგად ხდება ის, რასაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ. მაგრამ რწმენის სასწაულების იმედზე ყოფნაც არ ღირს. შემთხვევითი როდია, რომ ღვთის მსახურები ყოველთვის გვირჩევენ: „ილოცე უფლის წინაშე, ის კი გაგკურნავს შენ ექიმების მეშვეობით".

### ადამიანები, ვისი გენიალობაც ტრავმის შემდეგ გამოვლინდა

**ორლანდი სერელმა** 1979 წელს სკოლაში ბეისბოლის თამაშის დროს ტვინის ტრავმა მიიღო. ამის შემდეგ მას განუვითარდა განსაკუთრებული ავტობიოგრაფიული მეხსიერება (მას წვრილმანებამდე ახსოვს თავისი ტკივილები და დეპრესიის შემოტევები.

ამერიკელმა **დერეკ ამატომ** 40 წლის ასაკში ტვინის ძლიერი შერყევა მიიღო, როდესაც უხერხულად ჩაყვინთა აუზში. თავის ქალა-ტვინის ტრავმის რეაბილიტაციის პირველივე თვეების შემდეგ მას გაეხსნა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის უნარი. დაიწყო გიტარაზე, ფორტეპიანოზე დაკვრა, ახლა კი ყოფილი უმუშევარი ცხოვრებისთვის მუზიცირებას იყენებს. ტრავმის შემდეგ მას ასევე დარჩა თავის ტკივილები და ძალიან დაუქვეითდა სმენა.

**ჯეისენ პეჯეტი,** ავეჯით მოვაჭრე, რომელსაც სერიოზული ტრავმისა და ტვინის შერყევის შემდეგ გაეხსნა სამყაროს მათემატიკური ხედვა. გარშემომყოფ საგნებს წარმოიდგენს, როგორც მათემატიკურ ფორმულებსა და სამგანზომილებიან გეომეტრიულ ობიექტებს. მაიამის უნივერსიტეტში გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა მას დაუსვეს დიაგნოზი: „მათემატიკური სინესთეზია" (ერთი ორგანოთი იმ გრძნობის, შეგრძნების აღქმა, რომლებიც სხვა ორგანოებისთვისაა დამახასიათებელი).

**ალონზო კლემონსმა** ჩვილობის დროს აბაზანაში იატაკზე დაცემის შემდეგ ტვინის ტრავმა მიიღო. მიჩნეული იქნა უუნაროდ, იკითხოს და წეროს და გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა სახლში. მაგრამ ამ დროს ხელში მოხვედრილი მასალისგან შესანიშნავად ძერწავდა ადამიანებისა და ცხოველების პატარა ფიგურებს. დღეს ის მაღალი ანაზღაურების ცნობილი ამერიკელი მოქანდაკეა.



### იყო დამოკიდებული - ადვილია?

**მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ინტერნეტ-დამოკიდებულება გაცილებით უფრო ძლიერადაა გავრცელებული, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ.**

**ოფიციალური მონაცემებით, მას ექვემდებარება მომხმარებელთა დაახლოებით 10 პროცენტი. სამწუხაროდ, ინტერნეტ-დამოკიდებულების ასეთი გავრცელება ბევრს როდი აწუხებს. მიაჩნიათ, რომ ეს „არ არის სერიოზული დაავადება". თუმცა, „მსუბუქი დამოკიდებულება", როგორც „მსუბუქი ნარკოტიკები" არ არსებობს.**

**შემთხვევითი როდია, რომ ჩინეთში ინტერნეტ-დამოკიდებულება ფსიქიკურ დაავადებათა სიაშია შეტანილი. უკვე ცნობილია, რომ ინტერნეტს დაქვემდებარებულ ადამიანებს ხშირად უვითარდებათ სხვა ფსიქიკური მოშლილობანიც — კერძოდ, დეპრესია. განსაკუთრებით დაუცველები არიან ინტერნეტის წინაშე ბავშვები. ცნობილია, რომ, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო სწრაფად უყალიბდება მას დამოკიდებულება. მაგალითად, რომ გალოთდეს, მოზრდილ მამაკაცს წლები სჭირდება, საბავშვო ალკოჰოლიზმი კი თვეების განმავლობაში ყალიბდება.**

**იგივე ხდება ინტერნეტთან დამოკიდებულებაშიც. მაგრამ, თუ დამოკიდებულება სწრაფად ყალიბდება — კორექტირება უკვე დიდი შრომით ხდება და ფსიქიატრების დიდ ძალისხმევას მოითხოვს.**

**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ზუსტად უნდა გაიწეროს, განისაზღვროს კომპიუტერთან ყოფნის დრო ბავშვებისთვის. და არანაირი საბაბით იგი არ უნდა იქნეს გადაჭარბებული.**

### ყველაზე სწორი აზრები ადამიანს თავში მოსდის მაშინ, როცა მშიერია

**კავშირი კუჭის მდგომარეობასა და აზროვნების სიმახვილეს შორის მასშტაბური ექსპერიმენტის შემდეგ დაადგინეს ჰოლანდიელმა მეცნიერებმა. მოშიმშილე გამოსაცდელების ჯგუფი დასმულ ამოცანებს უფრო მკაფიოდ და სწრაფად ასრულებდა, ვიდრე კარგად გამაძღარი ადამიანები.**

### სადილის წინ ტკბილი საჭმლის მიღება საშუალებას აძლევს ადამიანს, ჭამოს უფრო ცოტა

**დიეტოლოგებმა ავსტრალიიდან გამოარკვიეს: თუ დესერტს სადილამდე 15-20 წუთით ადრე შევჭამთ, ტვინი დააფიქსირებს, რომ მისთვის შაქრის (ენერგიის ძირითადი წყარო ტვინისთვის) აუცილებელი ოდენობა უკვე შემოვიდა ორგანიზმში, და მოგვცემს სიგნალს შევამციროთ მადა.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**— რა უნდა გააკეთოს ახალგამომცხვარმა, თანამედროვე ახალგაზრდა ოჯახურმა წყვილმა პირველ საქორწინო ღამეს, რათა ზეწარი არ დასვაროს?**

**— ფეხები დაიბანოს.**

* * *

**— სულ ახლახან ოქროს საათი წამართვეს! — შესჩივის გამვლელი პოლიციელს.**

**— რატომ არავის არ უხმეთ საშველად?**

**— პირის გაღების შემეშინდა — ოქროს კბილები მაქვს.**

* * *

**ორი ძმაკაცი ერთმანეთს ხვდება:**

**— გამარჯობა, როგორა ხარ?**

**— ნორმალურად. აი, კარატეს სექციაში ჩავეწერე. უკვე ნახევარი წელია, იქ დავდივარ.**

**— ყოჩაღ, და როგორ მიგდის საქმე!**

**— ისე რა, ამ დროის მანძილზე უკვე ორჯერ მომდეს ქუჩაში ყბაში, სამჯერ კი — ბარში...**



**— ერიჰა! აქამდე როგორ გქონდა საქმე?**

**— აქამდე არც ერთხელ არ დამმართნია ასეთი რამ: როგორღაც მუდამ ვაღწევდი თავს კონფლიქტებს.**

* * *

**— მითხარით, რებე, რა იქნება ათიდან ერთ-ერთ მცნებას თუ დავარღვევ?**

**— რა იქნება და, ცხრა დარჩება.**

* * *

**მოშე და ხაიმი ერთმანეთს ხვდებიან.**

**— შენ იცი, ვინ იყო ისაკ ლევიტანი? — ეკითხება მოშე.**

**— არა.**

**— აბრამ ლინკოლნი ვინ იყო?**

**— არც ეს ვიცი.**

**— მე კი ვიცი, — ამაყად ამბობს მოშე, — იმიტომ, რომ ყოველდღე დავდივარ ან ლექციაზე, ან მუზეუმში.**

**— ყოჩაღ... აი, შენ თუ იცი, ვინ არის აბრამოვიჩი?**

**— არ ვიცი, ვინ არის?**

**— ვინ არის და ის, ვინც შენს ცოლთან დადის, როცა შენ ხან ლექციაზე დაეხეტები და ხანაც — მუზეუმში.**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24